# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 7 აპრილი 2007 №77 (3000) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქრო კაცი





AFP მედეგ სადიქიან

# ზაზა კედელაშვილმა ორმაგი ფინალი მოიგო

## ევროპის ჩემპიონატის ოქრო ერთს კი არა, მთელ სერბეთს აართვა

ფინალი ორმაგად ძნელი იყო. მილოშ მიალკოვიჩს მთელი დარბაზი ქომაგობდა და მსაჯებიც თითქოს მომენტს ელოდნენ, რათა მასპინძლებისთვის ოქროთი ეამებინათ.

სერბული ძიუდოს შესახებ აქამდე არაფერი გვსმენია, მაგრამ ეს მიალკოვიჩი მართლა მაგარი ბიჭი გამოდგა.

სწორედ ამიტომ, ზაზა კედელაშვილის ჩემპიონობა იქნებ ოქროზე მეტადაც ფასობდეს. თანაც ზაზა უკვე ევროპის ორგზის ჩემპიონია და ყველამ კარგად ვიცით, პირველობის შენარჩუნება პირველად მოპოვებაზე უფრო ძნელი რომ არის.

ძნელია, მაგრამ 2006 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა ჩემპიონის ტვირთსაც გაუძლო, ათასობით გულანთებული სერბი ქომაგის ყიჟინასაც და უაღრესად ძლიერი და შეუპოვარი მეტოქე უდაძაბულესი ბრძოლის დამატებით დროში დაამარცხა.

კედელაშვილის ოქრომდე კი ნესტორ ხერგიანის ბრინჯაო იყო, რითაც ათენის ოლიმპიური თამაშების ვიცეჩემპიონმა ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ადრეა. ამ მედლით ხერგიანმა ყველაზე მეტად ალბათ საქართველოს ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი გაახარა, ვისაც ბოლომდე სჯეროდა შეგირდის და მიუხედავად ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისა, ჯიუტად აყენებდა ნაკრებში.

ამ სიჯიუტემ გაამართლა და დღეს ხაბარელი უბედნიერესი კაცია — მისმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით დაიწყო.



**ქართველმა ძიუდოისტებმა ევროჩემპიონატი ორი მედლით დაიწყეს: ნესტორ ხერგიანმა თავის დიდ კოლექციას ერთი ბრინჯაოც შემატა**

# გაზეთებმა ჩემზე მეტი იციან

## ასათიანის რუსული კონტრაქტის შემოდგომა



მალხაზ ასათიანი გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს ორ კვირაში შეუდგება და როცა სათამაშო ფორმას აღიდგენს, მოედანსაც დაუბრუნდება. ეს ამბავი მალხაზმა გუშინ თავად გვითხრა. ამჟამად ის მოსკოვშია და „ლოკომოტივის“ ბაზაზე ჯერ კიდევ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მკურნალობის კურსი კი მოსკოველთა ქართველმა მცველმა ერთი კვირის წინ დაამთავრა.

— ყველაფერი კარგადაა, ორ კვირაში, ტრავმის მიღებიდან ექვსი თვის თავზე გუნდთან ერთად ვარჯიში შემეძლება. თამაში ძალიან მომენატრა, ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის დავბრუნდები.

**— როგორ ფიქრობ, როდის დაბრუნდები?**

— ფორმას სრულად რომ აღვიდგენ, მაშინ, ეს კი, სავარაუდოდ, მაისის შუა რიცხვებში იქნება. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელები მაიმედებენ, რომ სათამაშოდ დიდხანს ლოდინი აღარ მომიწევს.

**— ექიმები რას გეუბნებიან?**

— ექიმებთან საქმე დავამთავრე. მოსკოვში წამოსვლის წინ გერმანელმა ექიმებმა რუიტში ყველანაირად შემამოწმეს, ორკვირიანი სავარჯიშო პროგრამა შემიდგინეს და მოსკოვში გამომისტუმრეს.

**— ამჟამად მოედანზე არ ვარჯიშობ?**

— როგორ არ ვვარჯიშობ, ყველაფერს ვაკეთებ, რასაც სხვა ფეხბურთელები. ოღონდ დატვირთვებს ვერიდები, სატრენაჟოროში ბევრ დროს ვატარებ, მერე ბურთით დავრბივარ და სხვადასხვა სპეციალურ სავარჯიშოს ვასრულებ.

**— „ლოკომოტივმა“ რუსული პრემიერლიგა არცთუ შთამბეჭდავად რომ დაიწყო, ეს რისი ბრალიაო, რას ამბობენ? ცესკასთან წაგების შემდეგ თქვენს პრეზიდენტს იური სიომინს გასახდელში ერთი ამბავი აუტეხია...**

— სეზონი ჯერ ახალდაწყებულია და საგანგაშო არაფერია, ჩემპიონატს ყველა ერთნაირად მომზადებული ვერ შეხვდება, ზოგი გუნდი ნელ-ნელა შედის ფორმაში და თამაშს შუა სეზონში უმატებს. ცესკასთან მატჩისშემდგომ ამბებზე კი მე ვერაფერს ვიტყვი.

**— ასათიანის არყოფნაში „ლოკომოტივს“ დაცვაში პრობლემები აქვსო, ხშირად ამბობენ ჩვენი რუსი კოლეგები. შენ რას იტყვი?**

— „ლოკომოტივში“ კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, ერთი-ორი შეცდომა კი ყველას მოსდის და ამის გამო მათი გაკრიტიკება ცოტა ზედმეტი მგონია.

**— ევროპულ გუნდებში, შენი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ისევ არავინ დაგკავშირებია?**

— არავინ. არც ის ვიცი, მართლაც არიან თუ არა ჩემი გადაბირებით სხვა გუნდები დაინტერესებულნი. ყოველ შემთხვევაში, არც სხვა გუნდებიდან, არც „ლოკომოტივიდან“ ჩემთვის ასეთი ამბები არავის უთქვამს. სიახლეებს მხოლოდ პრესის საშუალებით ვიგებ.

**— „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

— ამ სეზონის შემდეგ. რუსეთის ჩემპიონატი და „ლოკომოტივთან“ ჩემი კონტრაქტი შემოდგომაზე მთავრდება.

**— კლუბს კონტრაქტის გაგრძელება ჯერ არ შემოუთავაზებია?**

— ჯერ არა. თამაშს რომ დავიწყებ, მერე ვნახოთ.

**— რომ შემოგთავაზონ, დათანხმდები?**

— ვერ გეტყვი, ახლა კონტრაქტზე არ ვფიქრობ, თამაში მომენატრა.

**კობა ინასარიძე**

# ოსერი იაშვის სიაში

**ალექსანდრე იაშვილი** რომ სეზონის დასრულების შემდეგ „ფრაიბურგს“ დატოვებს, ეს გუშინდელ საუბარში ერთხელაც დაგვიდასტურა. ორი დღის წინ კი მისით დაინტერესებულ ოთხ გუნდზე გაცნობეთ: „ალემანია“, „მაინცი“, „კარლსრუე“ და „ჰანოვერი“.

ამ სიას კიდევ ორი მიემატა — გერმანული „ვოლფსბურგი“ და ფრანგული „ოსერი“. „ვოლფსუბრგი“ ის გუნდია, სადაც შარშან ლევან ცქიტიშვილი სწორედ „ფრაიბურგიდან“ გადავიდა. „მგლები“ იაშვილს კარგად იცნობენ, ჩვენიანს მათ წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია.

აი, „ოსერი“ კი... გერმანულ პრესაში დაიწერა, ფრანგული კლუბი იაშვილით სერიოზულად დაინტერესდა და მოლაპარაკების დაწყებას აპირებსო. ცნობისთვის: „ოსერი“ საფრანგეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზეა, ზოგადად კი, ქვეყნის გრანდად არა, მაგრამ საშუალოზე მაღალი დონის გუნდად ითვლება და 11 წლის წინ ჩემპიონიც ყოფილა. „ოსერს“ ჟან ფერნანდესი წვრთნის, გუნდის საუკეთესო ფორვარდი კი ცნობილი კოტდივუარელი ბონავენტურე კალუა.




„ოსერში“ შესაძლო გადასვლაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. მეც იგივე ვიცი, რაც თქვენ: გაზეთებიდან გავიგე ამის შესახებ“ — გვითხრა იაშვილმა.

„ფრაიბურგის“ ფორვარდმა დაგვიდასტურა, ჩემით დაინტერესებულ გუნდებს შორის „ალემანიაცაა“, თუმც სხვა გერმანულ გუნდებზეცაა ლაპარაკი და ვერ ვიტყვი, რომ „ალემანია“ მათ შორის ყველაზე რეალურიაო.

„სეზონის ბოლომდე გაირკვევა, სად გავაგრძელებ კარიერას. მანამდე ყველა გუნდი რომ დავასახელო, ალალბედზე ლაპარაკი გამომივა. ამჟამად უფრო მეტად „ფრაიბურგზე“ ვფიქრობ, ძალიან მინდა, რომ გუნდი ბუნდესლიგაში გადავიდეს“.

იაშვილს მის თანაგუნდელ ოთარ ხიზანეიშვილზეც ვკითხეთ, რომელმაც მარტის შუაში მუხლი დაიზიანა და ოპერაცია დასჭირდა, რის გამოც ორი სანაკრებო მატჩი გამოტოვა. იაშვილის თქმით, ხიზანეიშვილი გუნდთან ერთად ვარჯიშს დღე-დღეზე დაიწყებსო.

**ილია ნანობაშვილი**




**უეფას** მიერ გამოცემულ ბოლო ცნობარში ნაირგვარი სტატისტიკური მონაცემებია და მათ შორის უეფას თასის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაც — შოთა არველაძე მეორე ადგილზეა თბილისის „დინამოში“, „ტრაბზონსფორში“, „აიაქსში“, „რეინჯერსში“ და „ალკმაარში“ თამაშისას დაგროვილი 27 გოლით.

უეფას თასის ბომბარდირთა ხუთეული ასეთია: 29 გოლი — ჰენრიკ ლარსონი, დიტერ მიულერი; 27 — შოთა არველაძე; 25 — ალესანდრო ალტობელი; 23 — იუპ ჰაინკესი; 22 — კარლ-ჰაინც რუმენიგე, იურგენ კლინსმანი, დენის ბერხკამპი.

ამათგან მოქმედი ფეხბურთელი მხოლოდ ორია — არველაძე და ლარსონი, რომელიც ახლა შვედურ „ჰელსინბორგში“ თამაშობს.

მოკლედ, არველაძეს არცთუ ურიგო შანსი აქვს, უეფას თასის ყველა დროის საუკეთესო მეგოლე გახდეს. შოთას უეფას თასზე 44 მატჩი უთამაშია.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXII ტური**

მანჩესტერ სიტი 0:0 ჩარლტონი
ევერტონი 4:1 ფულემი

**ჩემპიონატი. XLI ტური**

საუთენდი 0:3 კოლჩესტერი
ლესტერი 1:1 დერბი
ჰალი 1:2 ნორვიჩი

**პირველი ლიგა. XLI ტური**

სკანთორპი 1:0 იოვილი

**მეორე ლიგა. XLI ტური**

ჩესტერი 1:1 დარლინგტონი

### ავსტრია

**I დივიზიონი. XXIV ტური**

ავსტრია (ლ) 0:0 კერნტენი
ავსტრია (ვ) 2:2 ლუსტენაუ
გრატკორნი 1:1 ადმირა
ლინცერი 0:2 კაპფენბერგი
ლეობენი 1:0 შვანენშტადტი
პარნდორფი 1:0 ჰარტბერგი

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. XXIV ტური**

ბოლმი 0:1 შო დე ფონი

### იტალია

**სერია B. XXXII ტური**

ბარი 1:1 ფროზინონე
ბრეშა 1:0 არეცო
ჩეზენა 1:0 მოდენა
კროტონე 1:3 ლეჩე
იუვენტუსი 1:1 ალბინოლეფე
პესკარა 2:0 ტრიესტინა
პიაჩენცა 3:4 მანტოვა
სპეცია 1:2 ჯენოა
ტრევიზო 1:1 ვიჩენცა
ბოლონია 2:3 ნაპოლი
ვერონა 1:0 რიმინი

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXXI ტური**

აიაჩო 0:0 კაენი
ამიენი 4:1 მონპელიე
შატორუ 2:1 დიჟონი
კრეტეი 1:1 რეიმსი
გრენობლი 3:0 ისტრი
გენგამი 4:0 ბასტია
ლე ავრი 2:0 ლიბურნი
ნიორი 1:0 ბრესტი
სტრასბური 2:1 გენიონი

### უკრაინა

**ვიშა ლიგა. XXI ტური**

დინამო 0:0 მეტალურგი (დ)

### ბელგია

**იუპილერლიგა. XXVIII ტური**

ანდერლეხტი 1:0 სტანდარდი

### ჰოლანდია

**ერედივიზიონი. XXXI ტური**

ვიტესი 3:0 სპარტა

**II დივიზიონი. XXXV ტური**

კამბური 1:1 აპელდორნი
ემენი 4:0 ვეენდამი
ეინდჰოვენი 0:5 ვენლო
ალმერე 2:5 დორდრეხტი
ვოლენდამი 3:1 ჰაარლემი
ზვოლე 1:0 სიტარდი
იგლსი 3:1 გრააფსხაპი
მაასტრიხტი 1:0 ჰელმონდი
ტელსტარი 3:1 დენ ბოსხი
ოსი 2:0 როზენდალი

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XXIV ტური**

პორტუ 5:1 სეტუბალი

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXVII ტური**

გალათასარაი 0:1 ერჯიესი

### შვედეთი

**ალსვენსკა. I ტური**

ბრომაპოიკარნა 1:0 იურგორდენი
ტრელებორგი 1:1 გიოტებორგი

### ირლანდია

**პრემიერლიგა. V ტური**

ბრეი 0:2 შემროკი
ბოჰემიანსი 1:0 სლიგო
გალვეი 0:1 სენტ პატრიკსი
ლონგფორდი 0:1 დროჰედა
დუბლინი 3:0 უოტერფორდი

### უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XXIII ტური**

ფეჰერვარი 0:4 დებრეცენი

### რუმინეთი

**პირველი ლიგა. XXV ტური**

პეტროსანი 0:1 უნირია
ვასლუი 3:2 გლორია
ტიმიშოარა 1:0 ოცელული
უნივერსიტატია 0:1 კლუჟი

### ბულგარეთი

**ვიშა ლიგა. XXI ტური**

ჩერნო მორე 3:1 ჩერნომორეცი
სპარტაკი 1:0 ბოტევი

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — II წრე. 19 ტური

# ტურებია, ჯეკპოტურები

მე-19 ტურში ცენტრალურ მატჩს ვერ გამოარჩევ, მაგრამ ბოლო დროს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ისე წავიდა საქმე, შედეგის პროგნოზირება გართულდა. ამას ისიც მოწმობს, პროფლიგის მიერ შემოღებული ლატარიის ჯეკპოტმა 6 000 ლარს რომ უწია. „ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!“ აწერია ლატარიის ბილეთს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში ყველაფერი ისეთი მარტივი არ აღმოჩნდა, ზოგს რომ ეგონა.

რუსთავის „ოლიმპი“ იმ „ბორჯომს“ მასპინძლობს, წინა ტურში შინ პატარა სენსაცია რომ შემოგვთავაზა „ამერის“ დამარცხებით. მეორე წრეში ბორჯომელებმა მხოლოდ ერთხელ წააგეს და არა გვგონია, „ოლიმპს“ იოლი თამაში ელოდეს. რევაზ ძოძუაშვილის გუნდმა მეორე წრეში მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა და მიუხედავად ამისა, უახლოესი მდევრის მძლავრი სუნთქვა კარგად ესმის — „დინამოს“ რესპირატორული სისტემა მეორე წრეში მართლაც კარგად მუშაობს.

დუშან უჰრინის გუნდმა მეორე წრეში ხუთივე მატჩი მოიგო და დღესაც არ დაუცდება ფეხი — თელავის „კახეთს“ „დინამოსთან“ გაბრძოლების ჯანი უბრალოდ არ გააჩნია. დინამოელთა მთავარმეგოლე სანდრო იაშვილი ბომბარდირთა დავაში ერთი ბურთით ჩამორჩება ზესტაფონელ გოგი ფიფიას და ჩინებული შანსი ეძლევა, მას გადაასწროს. თელაველთა მეკარე იაშვილის ძმა გიგა გახლავთ და ძმათა დუელი უინტერესო ნაღდად არ იქნება.

წინა ტურში „ზესტაფონმა“ ორი ქულა დაკარგა გორში „ჩიხურასთან“ და კიდევ ერთი რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს — ოთხი მოგება და ერთი ფრე — ასეთია „ბათუმის“ სამეორეწრეო მონაგარი და, ცხადია, ზესტაფონელებს ზღვისპირელებთან შეხლაში დიდი ჯაფა დაადგებათ.

საჩემპიონო შანსები მნიშვნელოვნად შეიმცირა თბილისის „ამერმა“, მაგრამ ამბიციური გუნდი მეხუთე ადგილზე ყოფნას ვერ უნდა შეეგუოს. ამერელთა მეტოქე დღეს უფულო და უპატრონო ქუთაისის „ტორპედოა“, მაგრამ იური კვერნაძის გუნდში სამწვრთნელო პროცესი უწყვეტად მიდის და ქუთაისელებს ხელფას-პრემიის არქონა თუ არ შებოჭავს, ურიგო ბრძოლა არ უნდა გაჩაღდეს.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია „მიხეილ მესხზე“ — „ლოკომოტივი“ და საჩხერის „ჩიხურა“ იმას ლამობენ, ბოლოდან მესამე ადგილზე არ აღმოჩნდნენ და პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან არ მოუხდეთ ბრძოლა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის. ლოკომოტიველებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ და გიორგი კიკნაძის დებიუტი როგორი იქნება, ძალიან საინტერესოა. „ჩიხურას“ საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს საიმისოდ, რომ აუტსაიდერებში არ იყოს, აკი წინა ტურში ძალიან ფასეული ორი ქულაც აართვა „ზესტაფონს“. „ლოკომოტივს“ მეორე წრეში თამაში არ მოუგია, ხუთ შეხვედრაში ოდენ ორი ქულა მოინაგრა და ამიტომაც უხმო ახალ მწვრთნელს.

ერთი კვირის წინ „ვიტ ჯორჯიამ“ 3:0 მოუგო „ლოკომოტივს“ და ალბათ ნელ-ნელა მოიკრებს ძალას — ნესტორ მუმლაძის გუნდს შარშანდელი მძლავრობა აღარ ეტყობა, თუმც „ვიტ ჯორჯიას“ აქვს იმის ტრადიცია და გამოცდილება, წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებით გამოწვეულ დასუსტებას თავი მალევე დააღწიოს — „მერანთან“ ვიტელები ფავორიტად ითვლებიან.

მომდევნო ტურში კი... აი, მაშინ იქნება თუ იქნება ტოპ-დარტყმები — „ვიტ ჯორჯია“ „ოლიმპს“ მასპინძლობს, „დინამო“ — „ზესტაფონს“ — მე-19 ტურში გუნდები ტრავმებს და ყვითელ-წითელ ბარათებს განსაკუთრებულად უნდა ერიდნონ.

**. დივით თაგართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 43:6 | 45 |
| დინამო | 18 | 14 | 0 | 4 | 36:13 | 42 |
| ზესტაფონი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:6 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 4 | 3 | 38:23 | 37 |
| ამერი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:12 | 37 |
| სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 22:16 | 29 |
| ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 18:16 | 28 |
| ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:18 | 22 |
| ბორჯომი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:27 | 20 |
| მერანი | 18 | 4 | 5 | 9 | 14:30 | 17 |
| ლოკომოტივი | 18 | 4 | 4 | 10 | 12:26 | 16 |
| ჩიხურა | 18 | 3 | 5 | 10 | 11:27 | 14 |
| დილა | 18 | 1 | 3 | 14 | 10:45 | 6 |
| კახეთი | 18 | 0 | 1 | 17 | 13:54 | 1 |

რუსთავი. 7 აპრილი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ბორჯომი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ასკაროღლი, შ. ქუხილავა; გ. ვადაჭკორია

თბილისი. 7 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

**მერანი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ა. კოკაია, ი. კაკაბაძე; ლ. სილაგავა

თბილისი. 7 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — ჩიხურა**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ერქვანია, გ. ყრუაშვილი; ო. ხეცაძე

ზესტაფონი. 7 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ბათუმი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტიძე; გ. კიკაჩეიშვილი

თელავი. 7 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — დინამო**

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ს. სპიცინი, დ. სანოძე; ვ. გუმბერიძე

ბოლნისი. 7 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — დილა**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. მენთეშაშვილი, გ. ჭიჭინაძე; ლ. ფანიაშვილი

ქუთაისი. 7 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ამერი**

მსაჯები: მ. მაისურაძე; დ. კვეტენაძე, ზ. ბერულავა; მ. ნაკაიძე

## ჰარმონიზაცია ქართულად: ყველაფერი იწელება

## ძელცმული საქმე

მე-18 ტურის „ჩიხურა“ — „ზესტაფონის“ მოულოდნელი ფრით დასრულებიდან 48 საათში ზესტაფონელებმა პროფლიგაში პროტესტი შეიტანეს — გორის „ქართლის“ სტადიონზე ორივე კარი არასტანდარტული ზომისაო. მას შემდეგ თითქმის ერთი კვირა გავიდა, აგერ, დღეს მე-19 ტურია, საქმეს კი საშველი არა და არ დაადგა...

პაატა ბურჯალიანი, პროფლიგის პრესსამსახურის უფროსი: „ჩემპიონატის დებულებით, „ზესტაფონს“ პროტესტი 24 საათის განმავლობაში უნდა შემოეტანა, მათ კი დააგვიანეს, ამიტომ პროტესტი აღარ განიხილება. არგუმენტი, რომ კვირა უქმე დღეა, მცდარია — ჩვენ ასეთ სიტუაციებში ყოველდღე ვმუშაობთ“.

ჩემპიონატის ჩამტარებელი ორგანიზაციის ასეთი განცხადების შემდეგ „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროს სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით: „კლუბში არ მოსულა ოფიციალური განცხადება, რომ პროტესტი არ მიიღება და ჩვენც ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. თუ პროფლიგა ასეთ განცხადებას აკეთებს, გამოდის, რომ მათ არ სცოდნიათ საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი. ყველა ქვეყანაში კვირა უქმე დღეა და პროფლიგა თუ ამას არ ცნობს, ძალიან ცუდია. ამასთან, შეხვედრის დასრულების შემდეგ პირადად ვესაუბრე მატჩის დამკვირვებელ ოთარ გუნთაძეს, ხოლო ტელეფონით საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კაკულიას. მათ ვაცნობე, რომ საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ პროტესტის შეტანას აპირებდა. თუ საჭირო გახდა, ამ საუბრის ჩანაწერებს ამოვიღებთ და უფრო მაღალ ინსტანციებსაც მივმართავთ“ — გვითხრა ფუტკარაძემ.

## იყო გოლი გოლი?

**წინა** ტურის „დინამო“ — „სიონი“, უფრო სწორად, ამ მატჩის შემდგომი ამბები გეხსომებათ. ბოლნისელებმა, რომლებმაც ეს შეხვედრა ბოლო წუთზე დანიშნული პენალტით წააგეს, მსაჯობით აღშფოთება სახალხოდ გამოთქვეს, თავიანთი პრეტენზიები მატჩის ოქმშიც დააფიქსირეს და ფეხბურთის ფედერაციას საჩივრის შესატანად მიაშურეს, თუმც მერე გადაიფიქრეს, თანაც ხელჩასაჭიდი ფაქტი ვერ ნახეს და პროტესტიც აღარ შეუტანიათ. ჩემპიონატის დებულებით პროტესტი ჩათვლილ-არჩათვლილ გოლებზე, დანიშნულ-არდანიშნულ, პენალტებზე და ზოგადად ცუდი მსაჯობის გამო არ მიიღება. „სიონის“ ხელმძღვანელობა კი ფედერაციას მაინც ესტუმრა და საქმის გარჩევის შემდეგ იქაურობა ასეთი პასუხით დატოვა — ამ მატჩის სადავო ეპიზოდებს ფირზე ვნახავთ და თუ არბიტრ დავით ხარიტონაშვილის რაიმე მნიშვნელოვანი შეცდომა ვნახეთ, მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი მის მიმართ შესაბამის ზომებს მიიღებსო.

მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის სხდომაზე სხვა მატჩების სადავო ეპიზოდებთან ერთად „დინამო“ — „სიონის“ მომენტებიც გაარჩიეს და თქვეს, რომ „სიონის“ კარში დანიშნული პენალტი დასანიშნი იყოო. ხოლო იმის გამო, რომ „დინამოს“ კარში არჩათვლილი გოლის ეპიზოდი ფირზე კარგად არ ჩანდა, კომიტეტმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო. „ერთი ფირით, ისიც მომენტისთვის შეუსაბამო რაკურსით, ძალიან ძნელია, მსაჯის შეცდომაზე რაიმე კატეგორიული მოსაზრება გამოთქვა“ — გვითხრა მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის უფროსმა ამირან კაჭახიძემ.

მოკლედ, ფეხბურთის ფედერაცია და ბოლნისის „სიონი“, იყო თუ არა „დინამოს“ კარში გატანილი გოლი გოლი, ვერ შეთანხმდნენ და ეს საქმეც ამით ჩაიფარცხა.

იარე უმაღლესი ლიგის თამაშებზე
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 6000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

7 აპრილი, მე-19 ტური

ოლიმპი - ბორჯომი
მერანი - ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი - ჩიხურა
ზესტაფონი ბათუმი
კახეთი - დიამო (თბ.)
სიონი - დილა

ტორპედო - ამერი
სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი
ფრაიბურგი - აუგსბურგი
ფიურტი - კარლ ცაისი
მიუნხენ 1860 - კარლსრუე

# ფარერებთან წავუფარერეთ: კუნძული ჩვენთან აყვავდა



დავით კვირკველია და ვასილ გოგიაძე

**საქართველოს ნაკრების და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. მიმდინარე სეზონში კი ხან მცველად, ხანაც ნახევარმცველად მოთამაშე ჩვენებური გუნდის საუკეთესო ბომბარდირია 4 გოლით. კვირკველია საქართველოს ნაკრებშიც არ უცხოობს და თითქმის ყველა მწვრთნელის ხელში მუდმივად ძირითადშია. ასეა ტოპმიოლერის გუნდშიც, ერთადერთი გამონაკლისი შოტლანდიასთან მატჩი იყო. კვირკველია უკრაინულ გუნდში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს და ახლახან „მეტალურგს" უკაპიტნა კიდეც...**

— ბოლოსწინა ტურში კაპიტნის სამკლავური მოირგე...

— „მეტალურგის" კაპიტან ანდრეი დემჩენკოს სიცხის გამო არ უთამაშია, ვიცე-კაპიტანი კი სათადარიგოებში იყო. მწვრთნელსაც არ უყოყმანია და გუნდის გაძღოლა მე დამავალა.

— ბოლო ტურში „კრივბასთან" ქართული დერბი შედგა და ფრედ, 1:1 დასრულდა...

— თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გიგიაძემ 0:0-ზე პენალტი ვერ გამოიყენა, მოგება ჩვენ უფრო შეგვეძლო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გოლი მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე შევაგდეთ და დავწინაურდით, მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ. არავინ იცის, ვასოს რომ პენალტი გაეტანა რა მოხდებოდა, მაგრამ ფაქტია, ბოლო წუთებზე ჩვენი მეკარის შეცდომის გამო თამაში ფრედ დამთავრდა, რაც ალბათ ლოგიკური იყო.

— კრივბასელმა ჩვენებურებმა, ბურდულმა და გიგიაძემ როგორ ითამაშეს?

— ვასო კრივბასში ავტორიტეტია, მართალია, პენალტი გაუცუდდა, მაგრამ თავისიანებისთვის მნიშვნელოვანი გოლი მაინც გაგვიტანა. ბურდულს ურიგოდ არ უთამაშია.

— ამპლუით მცველი გუნდის ბომბარდირი ხარ, თავდამსხმელები რას აკეთებენ?

— იმედია, თავდასხმაც გამოასწორებს საქმეს. ჩემ შემდეგ ყველაზე მეტი ირაკლი მოდებაძეს აქვს გატანილი. ახლა ფორმაში არაა, მაგრამ მალე ათამაშდება და ტარას კაბანოვთან ერთად მეტს გატანას შეძლებენ.

— ფარერებთან თამაშით გულშემატკივარი უკმაყოფილო დატოვეთ...

— მართლებიც არიან, ამდენი მომენტი ფარერელებს მთელ შესარჩევში არ შეუქმნიათ. პირველი ტაიმის შემდეგ ორბურთიანმა უპირატესობამ იოლ გამარჯვებაში დაგვაჯერა, თან გულშემატკივარიც დიდი ანგარიშით მოგებას ითხოვდა და ჩვენც ასე გვეგონა, საბოლოოდ კი ნამეტანმა თავდაჯერებამ დაგვალალატა.

— არაერთი მწვრთნელის ხელში გითამაშია, რომელ ნაკრებს მიიჩნევ საუკეთესოდ?

— ახლანდელი ნაკრები გაცილებით კარგ ფეხბურთს თამაშობს. ეგაა, რომ არაფერი ვთქვათ ტრავმირებულ ფეხბურთელებზე, უიღბლობაც გვდევს. საფრანგეთის ნაკრებთან თამაშზე ვერაფერს ვიტყვი, სხვებთან კი ურიგოდ არ გვითამაშია — იტალიასთან მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილების გამო ათნი დავრჩით, უკრაინას ვაჯობეთ კიდეც, შოტლანდიასთან ბოლო წუთზე წავაგეთ. ჩემი აზრით, პროგრესი აშკარაა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგობერიშვილი ბაქოდან წამოვიდა



**17 მარტს** „ბაკიმ" ლენქორანის „ხაზართან" 0:0 რომ ითამაშა, მას შემდეგ ბაქოელი ალეკო გოგობერიშვილი მოედანზე არ გასულა და ჩვენც დავინტერესდით, რატომ მოისაკლისა „ბაკიმ" ერთ-ერთი ლიდერი.

გოგობერიშვილს ქუსლის ტრავმა გაუმიზეზდა და სამკურნალოდ თბილისში ჩამოვიდა. ალეკო აქ დაახლოებით კიდევ ათი დღე გაჩერდება და მერელა დაუბრუნდება „ბაკის", რომელსაც აზერბაიჯანის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება — მეექვსე ადგილზეა და ლიდერ „ნეფთჩის" ექვსი ქულით ჩამორჩება, აზერბაიჯანის ჩემპიონატის დასრულებას კი შვიდი ტური აკლია.

საქართველოშია „ბაკის" კიდევ ერთი ქართველი — გია მეგრელაძე ჯერაც ჰეპატიტს იშუშებს და მისთვის ვარჯიშიც არ შეიძლება. რაც შეეხება „ბაკის" მესამე ჩვენებურს, ამირან მუჯირი ჯანზე კია, მაგრამ ალბათ იქაურობასთან შეგუება უჭირს და ჯერჯერობით ვერ ყოჩაღობს — მასთან და მეგრელაძესთან „ბაკი" სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტს ალბათ არ გააფორმებს.

სეზონის დამთავრების შემდეგ „ბაკისთან" კონტრაქტი გოგობერიშვილსაც უმთავრდება.

**დავით თავართქილაძე**



# ბლექბერნული დიაგნოზი
## დანა საჭირო არ არის

**ინგლისური** „ბლექბერნის" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ ზურაბ ხიზანიშვილს საზარდული ჯერ კიდევ ამ სეზონის დაწყების წინ ასტკივდა და შემდგომაც ქრონიკულად აწუხებდა. ზურას საზარდულმა 24 მარტს შოტლანდიასთან მატჩშიც შეაწუხა და მომდევნო, 28 მარტის სანაკრებო შეხვედრა ფარერებთან ამად გამოტოვა.

ხიზანიშვილი აპრილის ბოლოს ან სეზონის დასრულების შემდეგ აპირებდა ოპერაციის გაკეთებას, მანამდე კი ნემსებით მკურნალობდა და, აი, ბოლო ცნობაც ინგლისიდან: ხიზანიშვილმა ნემსებით მკურნალობა დაასრულა და „ბლექბერნის" ექიმს მისთვის უთქვამს, ყველაფერი რიგზეა, ოპერაცია აღარ დაგჭირდებაო.

ზურა ამ დღეებში მსუბუქად ვარჯიშობდა და მუხლიც შეუსივდა, თუმც ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა — ხიზანიშვილი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში ჩადგება მწყობრში.

**დავით თავართქილაძე**

# მენთეშაშვილი ათიანი ძალაა




**დღეს** ლატვიის ჩემპიონატი იწყება, სეზონისწინა ტრანსფერებიდან კი იქაური პრესა ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულად ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსში" გადასვლას ასახელებს — „ლურჯ-ყვითლებმა" სერიოზული ძალა შეიმატეს და ჩემპიონობის შენარჩუნების კარგი შანსი აქვთო.

„ვენტსპილსმა" გულშემატკივრებთან შეხვედრა მოაწყო და მენთეშაშვილიც ოფიციალურად იქ წარადგინეს გუნდის ახალ ფეხბურთელად — ჩვენიანს 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

რაც შეეხება „ვენტსპილსის" მეორე ქართველს, 19 წლის ნახევარმცველ ლევან ჯღარკავას, მას 22 ნომერი უბოძეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# კიეველი ქართველები: სამივე დუბლებში

**გუშინ** უკრაინის ჩემპიონატში კიევ..ს „დინამომ" და დონეცკის „მეტალურგმა" 0:0 ისე ითამაშეს, არცერთი ქართველი განაცხადშიც კი არ ყოფილა. დონეცკელი გიორგი დემეტრაძის უთამაშებლობის მიზეზი მარტივია — გუნდის თავკაც კო ადრიანსეს ბევრი ლეგიონერი ჰყავს და დემეც ამ ლიმიტისა და დიდი კონკურენციის გამო ვერ მოხვდა 18 კაცში.

კიეველებმა, კახა ალადაშვილმა, დავით იმედაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ კი წინა დღეს ამ გუნდების დუბლების შეხვედრაში ითამაშეს — „დინამომ" 4:0 მოუგო დონბასელებს. ალადაშვილმა და იმედაშვილმა მატჩი სრულად ჩაატარეს, მარცვალაძე კი 64-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

ამხანაგურ მატჩს თუ არ ჩავთვლით, მარცვალაძე ტრავმის შემდეგ წლეულს პირველად გამოჩნდა კიეველთა გუნდში — მართალია, ჯერ დუბლებში, მაგრამ იმედია, მთავარ „დინამოშიც" მოიკიდებს ფეხს.

**ილია ნანოგაშვილი**

# უეფას თასი 2006-07. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები



„ალკმაარი" — „ვერდერი". მსაჯმა წითელი ამოიღო და ჩაიდო


ინგლისელ ქომაგებს სევილიაშიც კარგად ურტყეს

## ბენკერენსას სირცხვილი

### გაყვითლდა, გაწითლდა და ისევ გაყვითლდა

**ლევერკუზენი** (გერმანია) 0:3 **ოსასუნა** (ესპანეთი)
0:1 კუელიარი (1), 0:2 დ. ლოპესი (71), 0:3 ვებო (73)

**ალკმაარი** (ჰოლანდია) 0:0 **ვერდერი** (გერმანია)

**ესპანიოლი** (ესპანეთი) 3:2 **ბენფიკა** (პორტუგალია)
1:0 რ. ტამუდო (15), 2:0 რიერა (33), 3:0 პანდიანი (58), 3:1 ნუნუ გომეში (63), 3:2 სიმაო (65)

**სევილია** (ესპანეთი) 2:1 **ტოტენჰემი** (ინგლისი)
0:1 რ. კინი (1), 1:1 კანუტი (20პ), 2:1 კერჟაკოვი (36)

**უხვმომენტიან** თამაშში „ალკმაარი" და „ვერდერი" უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს, არადა, ამ გუნდებისგან ბევრ გოლს ელოდნენ.

„ალკმაარმა" ევროთასებზე შინ წაუგებელ მატჩთა რაოდენობა 30-მდე გაზარდა.

„0:0-ზე შანსი კვლავ გვაქვს, მაგრამ დღეს მოგებას ჩვენ ვიმსახურებდით — თქვა ლუის ვან გაალმა — ბიჭები ძალიან გულდაწყვეტილები არიან, რადგან დარწმუნებულები იყვნენ გამარჯვებაში. ბუნდესლიგის მეორე გუნდს კარგად ვეთამაშეთ და ამით კმაყოფილი ვარ. საპასუხო შეხვედრაში „ვერდერი" დაცვაში ველარ ჩადგება".

პირველ ტაიმში სტუმარი კლემენს ფრიცი გავიდა მეკარესთან პირისპირ და ვერ გაიტანა. უკეთესი შანსი ჰქონდა ალკმაარელ მუსა დემბელეს შესვენების შემდეგ, მაგრამ ხუთი მეტრიდან მეკარეს ჩააბარა ბურთი. მეორე ნახევრის შუაში კი ვერდერელმა პიერ ვომემ კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო — კამერუნელმა თავით დაუბრუნა ბურთი მეკარე ტიმ ვიზეს, რომელიც უკვე გამოსულიყო კარიდან და ერთ რამედ ღირდა ამ ეპიზოდის ნახვა: ვომე და ვიზე გიჟებივით მირბოდნენ ცარიელი კარისკენ გაგორებული ბურთის დასაწევად. კამერუნელმა გერმანელს სირბილში აჯობა და გუნდი იხსნა.

ბოლოს კი მსაჯმა ოლეგარიო ბენკერენსამ გაამხიარულა მაყურებელი — „ალკმაარის" მცველ სტეინსენს ჯერ ყვითელი, მერე წითელი ბარათი აჩვენა და აძევებდა, არადა, მცველისთვის ეს პირველი ყვითელი იყო და თან მას ხელით არ უთამაშია, თავი წაჰკრა ბურთს. გუნდის კაპიტანმა შოთა არველაძემ ბენკერენსას შეცდომა უმალ გამოასწორებინა და სტეინსენიც მოედანზე დარჩა.

არანაკლებ ლალი, ოღონდ სამგოლიანი თამაში გამოვიდა „სანჩეს პისხუანზე". უეფას თასის მფლობელმა „სევილიამ" პირველივე წუთზე გაუშვა რობი კინისგან, მაგრამ მალევე პენალტით გაათანაბრა, რომელიც სტუმართა აზრით, არ უნდა დანიშნულიყო. მეკარე პოლ რობინსონმა ბურთსაც მოარტყა ხელი და ადრიანოსაც. ადრიანო კი წაიქცა და მსაჯმა ალან ჰამერმა ნიშნულისკენ მიუთითა. გაბრაზებულმა რობინსონმა მსაჯის წინ ბურთი დაახეთქა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო, პენალტი კი ფრედერიკ კანუტმა გაიტანა.

იშტაზე მოსული „სევილია" პირველივე ტაიმში დაწინაურდა — ალექსანდრ კერჟაკოვმა თავით მარცხენა კუთხეში გაიტანა.

გოლი არ უნდა გავუშვათო, ამბობდა „ბენფიკასთან" მატჩის წინ „ესპანიოლის" მწვრთნელი და თამაშის დაწყებიდან ერთ საათში უკეთესს ვერც ინატრებდა — მისი გუნდი 3:0-ს იგებდა. ბარსელონელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და თუ მათ სამი გოლისთვის საათი დასჭირდათ, ბენფიკელებმა ორ წუთში ორი შეაგდეს. ნუნუ გომეშმა ცარიელ კარში გაიტანა, ხოლო სიმაოს დარტყმულს გეზი მასპინძელთა მცველმა უცვალა და 3:2.

„ლევერკუზენი" მოულოდნელად და დიდი ანგარიშით დამარცხდა. ოსასუნელმა კუელიარმა პირველივე წუთზე ნაკუთხურალი ბურთი თავით შეაგდო კარში, მერე კი ორჯერ გამოიჭირეს სტუმრებმა მასპინძლები კონტრშეტევაზე და ორივე გოლით დაასრულეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ისევ და ისევ მფრინავ სკამებზე

### ფეხბურთში ძალადობა საშიშად მატულობს

**ნაცემი**, დაჭრილი და დამტვრეული შვიდი ტოტენჰემელი ფანი ჰოსპიტალში გააქანეს „სევილიასთან" გუშინწინდელი მატჩის შემდეგ. მერვე კი იქაური პოლიციელი იყო...

სტუმარი ქომაგები სტადიონზე იმ ადგილისკენ მიიწევდნენ, რომელიც მათთვის არ იყო განკუთვნილი, საქმეში პოლიცია ჩაერია და ინგლისელები დაარბიეს. გულშემატკივრებმა კი, როგორც წესი, სკამები დაუშინეს ფორმიანებს.

დაახლოებით 4 ათასამდე ინგლისელს მასპინძლებმა მატჩამდე საგანგებო ადგილი გამოუყვეს რკინიგზის სადგურთან, რათა ისინი ადგილობრივებს არ დასჯახებოდნენ, რომლებსაც რელიგიური დღესასწაული ჰქონდათ და ქალაქში დასეირნობდნენ.

ბრიტანული „სანის" ცნობით, „სევილიას" 300 ფანი თამაშის დაწყებამდე იმ სასტუმროს სიახლოვეს ტრიალებდა, სადაც „ტოტენჰემი" იყო დაბინავებული და მათ გამოსვლას ელოდა.

უეფა, რა თქმა უნდა, გამოიძიებს სევილიაში მომხდარს, ისევე, როგორც „რომა" — „მანჩესტერის" საჩემპიონთალიგო მატჩში ატეხილი ჩხუბის ამბავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XX ტური

ბელხატოვი — ზაგლებე 3:1. ტურის დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 20 | 13 | 3 | 4 | 46:20 | 42 |
| ზაგლებე | 20 | 11 | 6 | 3 | 30:21 | 39 |
| კორონა | 19 | 10 | 4 | 5 | 26:18 | 34 |
| ვისლა | 19 | 7 | 10 | 2 | 32:15 | 31 |
| ლეგია | 19 | 9 | 4 | 6 | 32:21 | 31 |
| ლოძი | 19 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 31 |
| კრაკოვია | 19 | 8 | 4 | 7 | 26:29 | 28 |
| ლეხი | 19 | 6 | 7 | 6 | 33:27 | 25 |
| გროცლინი | 19 | 4 | 12 | 3 | 20:18 | 24 |
| არკა | 18 | 4 | 10 | 4 | 22:19 | 22 |
| ვიძევი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:25 | 20 |
| ლეჩნა | 18 | 4 | 5 | 9 | 12:35 | 17 |
| გურნიკი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:33 | 16 |
| ოდრა | 19 | 3 | 7 | 9 | 15:29 | 16 |
| პოგონი | 19 | 3 | 6 | 10 | 15:24 | 15 |
| პლოცკი | 19 | 2 | 8 | 9 | 14:33 | 14 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

აუე — კიოლნი 0:1; ჰანზა — პადერბორნი 2:0; კობლენცი — ესენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 27 | 17 | 6 | 4 | 58:31 | 57 |
| ჰანზა | 28 | 14 | 12 | 2 | 42:22 | 54 |
| დუისბურგი | 27 | 12 | 10 | 5 | 50:33 | 46 |
| ფიურტი | 27 | 13 | 6 | 8 | 44:30 | 45 |
| ფრაიბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:33 | 45 |
| ლაუტერნი | 27 | 11 | 10 | 6 | 35:27 | 43 |
| აუგსბურგი | 27 | 11 | 9 | 7 | 34:23 | 42 |
| აუე | 28 | 13 | 3 | 12 | 40:39 | 42 |
| კიოლნი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:37 | 41 |
| მიუნხენი | 27 | 11 | 5 | 11 | 37:39 | 38 |
| პადერბორნი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:30 | 33 |
| კობლენცი | 28 | 8 | 8 | 12 | 28:37 | 32 |
| ოფენბახი | 27 | 8 | 6 | 13 | 34:43 | 30 |
| ესენი | 28 | 7 | 7 | 14 | 30:35 | 28 |
| კარლ ცაისი | 27 | 6 | 8 | 13 | 28:46 | 26 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 6 | 8 | 13 | 33:53 | 26 |
| უნტერჰახინგი | 27 | 6 | 7 | 14 | 25:40 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 27 | 3 | 7 | 17 | 12:40 | 16 |

## დანია

### სუპერლიგა. XXII ტური

ოლბორგი — მიდტიულანდი 0:2; რანდერსი — ნორდსიელანდი 1:6; ვაილე — ჰორსენსი 0:0; ვიბორგი — ოდენსე 0:2; კოპენჰაგენი — სილკებორგი 3:1; ესბიერგი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 22 | 15 | 6 | 1 | 42:15 | 51 |
| მიდტიულანდი | 22 | 13 | 6 | 3 | 43:23 | 45 |
| ოდენსე | 22 | 12 | 6 | 4 | 30:19 | 42 |
| ნორდსიელანდი | 22 | 11 | 4 | 7 | 46:25 | 37 |
| ოლბორგი | 22 | 10 | 5 | 7 | 28:22 | 35 |
| ბრონდბიუ | 22 | 8 | 8 | 6 | 32:23 | 32 |
| ესბიერგი | 22 | 7 | 7 | 8 | 34:35 | 28 |
| რანდერსი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:33 | 27 |
| ვიბორგი | 22 | 6 | 4 | 12 | 22:42 | 22 |
| ჰორსენსი | 22 | 4 | 8 | 10 | 15:31 | 20 |
| სილკებორგი | 22 | 3 | 3 | 16 | 19:41 | 12 |
| ვაილე | 22 | 2 | 5 | 15 | 21:50 | 11 |

## Copa Toyota Libertadores 2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### VI ჯგუფი. V ტური

**კარაკასი** (ვენესუელა) 3:1 **რივერ პლეიტი** (არგენტინა)
1:0 რეი (17), 1:1 ფარიასი (29), 2:1, 3:1 ესკობარი (32, 37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლო კოლო | 5 | 3 | 0 | 2 | 12:6 | 9 |
| კარაკასი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:7 | 9 |
| რივერ პლეიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ლიგა დე კიტო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |

### VIII ჯგუფი. V ტური

**დეფენსორ სპორტინგი** (ურუგვაი) 0:2 **სანტოსი** (ბრაზილია)
0:1 მ. აურელიო (69), 0:2 ტაბატა (83)

**დეპორტივო პასტო** (კოლუმბია) 0:2 **ხიმნასია** (არგენტინა)
0:1 როსერო (15ს.კ.), 0:2 პაჩეკო (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 9:1 | 15 |
| დეფენსორ სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| ხიმნასია | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| დეპორტივო პასტო | 5 | 0 | 0 | 5 | 3:11 | 0 |

# მარადონა მოკეთდა... მომჯობინდა



**ბუენოს აირესის** გემესის კლინიკაში მყოფ დიეგო მარადონას მდგომარეობა გაუმჯობესდა.

„დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ დიეგო თავს ახლა უკეთ გრძნობს“ — განუცხადა პრესას სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ექტორ პეცელამ.

47 წლის მარადონა ბუენოს აირესის კერძო გერმანულ კლინიკაში ოთხშაბათს მიიყვანეს — ფეხბურთის მეფეს ალკოჰოლური მოწამვლის ნიშნები ჰქონდა, რასაც თან თამბაქოს უზომო რაოდენობით მოხმარება და დიეტის უგულებელყოფა დაერთო — მარადონას მწვავე ჰეპატიტი დაუდგინეს.

ახლა კი დოქტორი პეცელა აცხადებს, რომ თუ რაიმე უსიამოვნო სიურპრიზი არ მოხდა, ლეგენდას რამდენიმე დღეში გაწერენ.

ექიმმა არგენტინულ „ოლეს“ ეს უთხრა: „მარადონა დარწმუნდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჯანმრთელდება, თუ ექიმებს დაუჯერებს. ადრე მის ოთახში შესულ პერსონალს ლანძღვით ხვდებოდა, ახლა კი პრობლემებს აღარ გვიქმნის“.

გარდა ამისა, სენიორ პეცელამ თქვა, მარადონას ახლობლებს და ოჯახის წევრებს ვუთხარი, პაციენტთან ვიზიტებს მოერიდონ, რადგანაც ამან შეიძლება, დიეგოზე ემოციურად იმოქმედოს და ნერვიული აშლილობა გამოიწვიოსო.

**ლადო ხომერიკი**







# რომარიოს პელემ დასცინა

**რომარიომ** ვერა და ვერ აისრულა სანუკვარი გულისწადილი, გაიტანოს 1000 გოლი და გაიმეოროს პელეს რეკორდი. ექსბარსელონელმა უკვე 999 გაიტანა, ის ერთი კი იგვიანებს — „რომის“ ნერვები დაწყვეტაზე აქვს...

ცხადია, ამ ამბავს პელეც თვალყურს ადევნებს. გუშინ ფეხბურთის ლეგენდამ რომარიოს ვერშესრულებული ათასის თაობაზე მედიასთან ისაუბრა...

„მე რომ ჩემი მეათასე გოლი გავიტანე, 29 წლის ვიყავი. რომარიო კი რამდენი წლისაა? იგი თავისი საიუბილეო გოლის შეგდებას 41 წლის ასაკში ცდილობს“ — თქვა დუ ნასიმენტომ.

პელემ თავისი მეათასე გოლი 1969 წელს „მარაკანაზე“ შეაგდო. საერთოდ კი, არაოფიციალური მონაცემების მიხედვით, ფეხბურთის მეფეს 1282 გოლი გაუტანია.

დუ ნასიმენტოსა და რომარიოს შორის პოლემიკა კი ძველი ამბავია. მეფე და „რომი“ შანსს არ უშვებენ, ერთმანეთი გესლიანად არ გაკენწლონ და აი, პელემ მეტოქეს ერთხელაც დასცინა...

**ლადო ხომერიკი**

# მოსალოდნელია რეალი შრაულოდ



**„დიარიოსპორტის“** ცნობით, გამორიცხული არ არის, რაულ გონსალესი ამ ზაფხულს ინგლისურ „ლივერპულში“ აღმოჩნდეს.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი გუნდის გაახალგაზრდავების პროცესის გაგრძელებას აპირებს, რომელიც ფერნანდო გაგოსა და გონსალო იგუაინის შეძენით დაიწყო.

„რეალის“ მოთამაშე ლეგენდას კლუბთან კონტრაქტი სამი წლის შემდეგ ეწურება, თუმცა...

რაფაელ ბენიტესი რაულის ნიჭის დიდი პატივისმცემელია და „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ ბევრჯერ უთქვამს, რომ სიამოვნებით მიიღებდა მას გუნდში.

ასე რომ, მიუნხენის „ბაიერნს“ გვერდით „ლივერპული“ ამოუდგა...

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სარაგოსა | : | ბარსელონა |
| ბილბაო | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | ატლეტიკო |
| მალიორკა | : | ხეტაფე |
| დეპორტივო | : | ხიმნასტიკი |
| უელვა | : | სელტა |
| რეალი | : | ოსასუნა |
| სევილია | : | რასინგი |
| ესპანიოლი | : | სოსიედადი |
| ლევანტე | : | ბეტისი |

## ესპანეთი

# ეტოო ნაცისტურ რომარედაზე?

**წინა** სეზონში „სარაგოსას“ „ლა რომერადას“ არენაზე იქაურმა „ფაშისტებმა“ სამუელ ეტოოს „შავი მაიმუნი“ უძახეს, ისედაც ფიცხი კაცი მთლად გადარიეს და მოედნიდან გასაქცევად გამზადებული აფრიკელი ფრანკ რაიკარდმა რის ვაი-ვაგლახით შეაბრუნა. ის მატჩი „ბარსელონამ“ 2:0 მოიგო, ეტოომ კი საფინალო სასტვენის შემდეგ გამომწვევი ჟესტიკულაციით კინაღამ ჭკუაზე შეშალა არაგონელთა ნაცისტი ფანობა.

დღეს ნაცისტებს გამორჩეული შეხვედრა ელით — „სარაგოსა“ ისევ „ბარსას“ ეთამაშება, ეტოოს კი ძველი ტრავმა გაუმიზეზდა.

„იმ ინციდენტის გახსენებას არ ვაპირებ, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემი საქმე მოედანზე გასვლა და გოლების გატანაა“ — უთხრა კამერუნელმა მედიას. თუმც გაზეთებმა დაწერეს, მას სარაგოსული ღრიალი ძალიანაც კარგად ახსოვს და თუ ითამაშა, ყველანაირად ეცდება, მეტოქე ძვლებიანად გადაყლაპოსო.

არაგონელებს ლიდერთან ომში ალბათ ტრავმირებული სერხიო ვერ დაეხმარებათ, ევერტონმა კი სატკივარი მოირჩინა და თამაშს მოახერხებს. „ბარსას“ დანაკლისი ტიაგო მოტაა — ადამიანი-ტრავმა ისევ დაშავდა. რონალდინიოს კი გრიპი აწუხებდა, თუმცა გამოჯანმრთელდა და „ლა რომარედაზე“ აუცილებლად იქნება.

„ბილბაომ“ წინა ტურში „რასინგთან“ წააგო და დღეს „ვალენსიას“ მასპინძლობს. გუნდი სევგუნდაში ვარდება და თუ „ღამურებთანაც“ დამარცხდა, სიტუაციას უფრო გაირთულებს. ბასკებს დისკვალიფიცირებული ამორებიეტა არ ეყოლებათ, ვალენსიელები კი მეცხრე ცაზე არიან — ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან“ სტუმრად 1:1 ითამაშეს და ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი აქვთ.

ხვალ „ესპანიოლს“ „სოსიედადთან“ დასჯილი რაულ ტამუდო დააკლდება, „ლევანტე“ კი „ბეტისთან“ ასევე დაჯარიმებულ რიგას მოისაკლისებს.

„მალიორკა“ „ხეტაფეს“ მასპინძლობს და, სავარაუდოდ, ტრავმირებული არანგო და იანკოვიჩი არ ეყოლება, მადრიდელებს კი კოზმინ კონტრა დაუბრუნდათ — დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა.

„ხეტაფეს“ საევროტურნირო ადგილებამდე ხუთი ქულალა აშორებს.

„დეპორტივოს“ მეტოქე მაჩანჩალა „ხიმნასტიკია“, რომელმაც ერთი კვირის წინ „უელვას“ შეტევებს გმირულად გაუძლო და ფრე ითამაშა. გალისიელებს ჯარიმის გამო ხუან როდრიგესი არ ჰყავთ, ასევე დისკვალიფიცირებულნი არიან „ხიმნასტიკის“ მატელანი და კამპანო.

„სელტას“ დანაკლისი „უელვასთან“ მატჩში პინტოა, „რასინგი“ კი „ატლეტიკთან“ გამარჯვების მერე საევროტურნირო პოზიციებს 1 ქულით მიუახლოვდა და ვინძლო სანტანდერელებმა „სევილიასთან“ გულფიცხად იომონ.

მადრიდული გუნდები, „რეალი“ და „ატლეტიკო“ „ოსასუნას“ და „ვილიარეალს“ ეთამაშებიან. „რეალს“ ნავარელებთან დაჯარიმებული გუტი და გაგო დააკლდებიან, „ატლეტიკოს“ კი „ყვითლებთან“ ომში მანიშე არ ეყოლება.

„ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. დარჩენილ მატჩებს ისე ვითამაშებთ, როგორც ფინალებს“ — უკვე მრავალგზის ნათქვამი გაიმეორა „რეალის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | 3:3 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 3:0 | | | 4:0 | 2:1 | 3:0 | | | | 3:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 28 | 16 | 8 | 4 | 59:26 | 56 | 11 | 3 | 0 | 35:9 | 36 | 5 | 5 | 4 | 24:17 | 20 |
| 2 | სევილია | 2:1 | | 2:1 | 3:0 | | 3:1 | | | 1:0 | | | 4:0 | 2:0 | 1:2 | 3:2 | 4:0 | 2:0 | | 0:0 | 2:1 | 28 | 16 | 6 | 6 | 48:24 | 54 | 11 | 1 | 1 | 29:8 | 34 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 20 |
| 3 | რეალი | 2:0 | | | | 1:0 | 1:1 | 3:1 | 0:3 | 1:1 | | 0:0 | | | | 0:0 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 28 | 15 | 6 | 7 | 39:25 | 51 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 | 9 | 2 | 4 | 24:15 | 29 |
| 4 | ვალენსია | 2:1 | | 0:1 | | | 3:1 | 0:2 | | 2:0 | 3:2 | | 4:0 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | | 4:0 | 28 | 15 | 5 | 8 | 40:28 | 50 | 11 | 1 | 2 | 29:10 | 34 | 4 | 4 | 6 | 11:18 | 16 |
| 5 | სარაგოსა | | 2:1 | | 0:1 | | 1:0 | | 0:0 | 3:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 2:1 | 2:2 | | | 3:2 | 3:0 | 28 | 13 | 8 | 7 | 42:29 | 47 | 9 | 3 | 2 | 24:11 | 30 | 4 | 5 | 5 | 18:18 | 17 |
| 6 | ატლეტიკო | | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | | 1:1 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 1:1 | | | | 1:0 | 1:1 | 0:0 | 28 | 12 | 8 | 8 | 33:24 | 44 | 7 | 5 | 3 | 17:11 | 26 | 5 | 3 | 5 | 16:13 | 18 |
| 7 | რასინგი | 0:3 | 0:0 | | 1:0 | 0:2 | 0:1 | | 4:3 | 1:0 | 1:1 | 2:1 | | 1:0 | | | | 1:1 | 5:4 | 1:0 | 4:1 | 28 | 11 | 10 | 7 | 35:34 | 43 | 8 | 3 | 3 | 21:17 | 27 | 3 | 7 | 4 | 14:17 | 16 |
| 8 | უელვა | 0:4 | 1:3 | | 2:0 | | 1:0 | | | 1:2 | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 0:1 | | | 1:0 | 2:1 | 28 | 12 | 6 | 10 | 36:36 | 42 | 7 | 2 | 4 | 16:14 | 23 | 5 | 4 | 6 | 20:22 | 19 |
| 9 | ხეტაფე | 1:1 | 0:0 | 1:0 | 3:0 | 2:2 | | 1:0 | 1:1 | | 0:1 | | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | | 28 | 10 | 9 | 9 | 25:21 | 39 | 7 | 7 | 1 | 16:6 | 28 | 3 | 2 | 8 | 9:15 | 11 |
| 10 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:2 | | 2:2 | 0:1 | | | 1:1 | | 0:0 | 3:1 | | 1:1 | 2:1 | 3:2 | | 0:1 | 28 | 9 | 11 | 8 | 31:31 | 38 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 20 | 4 | 6 | 4 | 12:15 | 18 |
| 11 | ვილიარეალი | | 0:0 | 1:0 | 0:1 | 3:2 | | | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 0:2 | 1:4 | 2:1 | 3:2 | 1:1 | | | 1:1 | 2:0 | 28 | 10 | 8 | 10 | 29:35 | 38 | 6 | 4 | 4 | 15:15 | 22 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| 12 | დეპორტივო | 1:1 | | 2:0 | | 3:2 | 1:0 | 0:0 | | 1:0 | 0:0 | 2:0 | | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 2:0 | | 28 | 9 | 9 | 10 | 21:30 | 36 | 7 | 4 | 3 | 13:7 | 25 | 2 | 5 | 7 | 8:23 | 11 |
| 13 | ოსასუნა | 0:0 | 0:0 | 1:4 | 1:1 | | | 0:1 | | 0:2 | 0:2 | | 4:1 | | 3:0 | 5:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | | 2:0 | 28 | 10 | 5 | 13 | 34:33 | 35 | 5 | 4 | 5 | 19:15 | 19 | 5 | 1 | 8 | 15:18 | 16 |
| 14 | მალიორკა | 1:4 | | 0:1 | | 2:1 | 0:0 | 1:2 | 2:1 | | 1:0 | 1:2 | 0:0 | | | 2:0 | 3:1 | 2:2 | 1:3 | 0:0 | | 28 | 9 | 6 | 13 | 29:40 | 33 | 5 | 4 | 5 | 16:17 | 19 | 4 | 2 | 8 | 13:23 | 14 |
| 15 | ბეტისი | 1:1 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 3:3 | 1:1 | | 0:1 | | 2:1 | 1:0 | 3:0 | | | 28 | 7 | 11 | 10 | 28:34 | 32 | 4 | 8 | 3 | 16:13 | 20 | 3 | 3 | 7 | 12:21 | 12 |
| 16 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | 1:4 | | 0:0 | 0:3 | 2:0 | 2:1 | | 0:0 | 0:2 | 2:0 | | 0:1 | | | 1:1 | 0:0 | 2:0 | | 28 | 6 | 10 | 12 | 23:38 | 28 | 4 | 5 | 5 | 13:17 | 17 | 2 | 5 | 7 | 10:21 | 11 |
| 17 | სელტა | 2:3 | 1:2 | 1:2 | 3:2 | 1:1 | 1:3 | 2:2 | 1:2 | | 0:2 | 1:1 | | 0:2 | | | | | 1:1 | 0:0 | 1:1 | 28 | 6 | 9 | 13 | 28:40 | 27 | 1 | 6 | 7 | 15:24 | 9 | 5 | 3 | 6 | 13:16 | 18 |
| 18 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | | 0:0 | 1:4 | 0:0 | 4:2 | 2:0 | | 0:1 | | 0:3 | | 1:2 | | 0:1 | | 1:1 | 0:2 | 28 | 6 | 8 | 14 | 31:45 | 26 | 2 | 3 | 8 | 11:22 | 9 | 4 | 5 | 6 | 20:23 | 17 |
| 19 | სოსიედადი | | 1:3 | 1:2 | 0:1 | 1:3 | | | 2:3 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 3:1 | 0:0 | 1:0 | | 0:2 | | 3:2 | 28 | 4 | 9 | 15 | 20:36 | 21 | 4 | 3 | 8 | 15:21 | 15 | 0 | 6 | 7 | 5:15 | 6 |
| 20 | ხიმნასტიკი | | 1:0 | 1:3 | 1:1 | | | 2:2 | 1:1 | 1:3 | 4:0 | | 0:0 | 2:3 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 2:3 | | | 28 | 5 | 6 | 17 | 29:51 | 21 | 3 | 4 | 7 | 20:23 | 13 | 2 | 2 | 10 | 9:28 | 8 |

# ინგლისელი პაციენტი
## ჩვენი პოლიციით ჩამოვალთ და წესრიგს დაგიმყარებთო



AFP

**წარსულში** ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ პლატი ამბობს, რომ იტალიელ კარაბინერებს „რომასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის დღეს, ანუ ოთხშაბათს, ერთი ინგლისელი ქომაგის მოკვლაც კი შეეძლოთ. რა შუაშია დევიდ პლატი? ის იტალიაში ოთხი წელიწადი თამაშობდა და ამ ქვეყნის სტადიონებისა ყველაფერი კარგად მოეხსენება.

„რაც მოხდა, საშინელება იყო, მაგრამ მართალი გითხრათ, არ გამკვირვებია — ბრძანა პლატმა — იტალიაში კარაბინერები დარწმუნებულები არიან, რომ წესრიგის დამყარების ერთადერთი გზა ხალხის ცემაა. ინგლისში დაგიჭერენ, ან სტადიონზე მისვლას აგიკრძალავენ, იტალიაში კი, უბრალოდ, გცემენ. ვუყურებდი იმ საშინელ კადრებს და გული მისკდებოდა, ვინმე არ მოკლან-მეთქი. კარაბინერები ხალხს ხელჯოხებს მეტისმეტი გამეტებით ურტყამდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ ეს ცემა-ტყეპა სიამოვნებდათ“.

| 15274 | ლევანტე-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | მალიორკა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | უელვა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | სევილია-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | რეალი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | ოსერი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | მარსელი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | მონაკო-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | ნანსი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | პსჟ-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | რენი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | სედანი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | სოშო-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | სტ.ეტიენი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | ვალენსიენი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | სიტი-ჩარლტონი | 1.40 | 2.50 |
| 16003 | ევერტონი-ფულემი | 1.17 | 4.00 |
| 16004 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.08 | 5.20 |
| 16006 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1.08 | 5.20 |
| 16008 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1.35 | 2.70 |
| 16009 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1.15 | 4.10 |
| 16010 | რედინგი-ლივერპული | 2.65 | 1.35 |
| 16012 | შეფილდი-ნიუკასლი | 1.60 | 2.00 |
| 16013 | უიგანი-ბოლტონი | 1.80 | 1.80 |
| 16014 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5.10 | 1.10 |
| 16127 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.20 | 3.60 |
| 16129 | სელტიკი-მოზერუელი | 1.03 | 6.50 |
| 16131 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.10 | 1.55 |
| 16132 | ჰართსი-კილმარნოკი | 1.30 | 3.00 |
| 16133 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.45 | 2.40 |
| 16134 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 4.80 | 1.12 |
| 16162 | ალემანია-დორტმუნდი | 1.80 | 1.85 |
| 16163 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.35 | 2.70 |
| 16164 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 16165 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.90 | 1.30 |
| 16166 | ჰერტა-არმინია | 1.22 | 3.30 |
| 16168 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.15 | 4.10 |
| 16170 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1.11 | 4.80 |
| 16172 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.20 | 3.65 |
| 16174 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.40 | 2.50 |
| 16227 | ატალანტა-კიევო | 1.35 | 2.70 |
| 16228 | კატანია-რომა | 3.30 | 1.25 |
| 16231 | ლაციო-მესინა | 1.03 | 8.00 |
| 16233 | მილანი-ემპოლი | 1.06 | 6.00 |
| 16234 | პალერმო-კალიარი | 1.17 | 4.00 |
| 16235 | პარმა-ლივორნო | 1.42 | 2.55 |
| 16236 | რეჯინა-ინტერი | 4.30 | 1.15 |
| 16238 | სამპდორია-ტორინო | 1.27 | 3.00 |
| 16269 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.30 | 1.40 |
| 16272 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.25 | 3.20 |
| 16273 | დეპორტივო-ტარაგონა | 1.18 | 3.80 |
| 16274 | ლევანტე-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 16275 | მალიორკა-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 16276 | უელვა-სელტა | 1.40 | 2.50 |
| 16277 | სევილია-რასინგი | 1.12 | 4.70 |
| 16278 | რეალი-ოსასუნა | 1.08 | 5.50 |
| 16280 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 16291 | ოსერი-ბორდო | 1.55 | 2.10 |
| 16293 | მარსელი-ლილი | 1.45 | 2.40 |
| 16294 | მონაკო-ტრუა | 1.20 | 3.55 |
| 16295 | ნანსი-ლორიანი | 1.45 | 2.50 |
| 16296 | პსჟ-ლე მანი | 1.35 | 2.60 |
| 16297 | რენი-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 16299 | სედანი-ტულუზი | 1.70 | 1.90 |
| 16300 | სოშო-ნიცა | 1.25 | 3.30 |
| 16301 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.22 | 3.45 |
| 16302 | ვალენსიენი-ლიონი | 3.55 | 1.20 |

## გოლი: ნაკლები-1.5 მეტი-2 (0:0 ითვლება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | სიტი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ევერტონი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17009 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | რედინგი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17012 | შეფილდი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | უიგანი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17129 | სელტიკი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | ჰართსი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ალემანია-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ჰერტა-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17227 | ატალანტა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17228 | კატანია-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17230 | ფიორენტინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ლაციო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17233 | მილანი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | პალერმო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | პარმა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | რეჯინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | სამპდორია-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17269 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17272 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17273 | დეპორტივო-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17274 | ლევანტე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | მალიორკა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17276 | უელვა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17277 | სევილია-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | რეალი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17280 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17291 | ოსერი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17293 | მარსელი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17294 | მონაკო-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17295 | ნანსი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17296 | პსჟ-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17297 | რენი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17299 | სედანი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17300 | სოშო-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17301 | სტ.ეტიენი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17302 | ვალენსიენი-ლიონი | 1.85 | 1.95 |

## რაგბი

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 7 აპრილი. 16.00. თბილისი. „ეროვნული"

## საქართველო VS ჩეხეთი

# მგელაძის ჩეხეთი მაისში დამთავრდება



**სადღეისო საქართველო — ჩეხეთის მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ჩეხებს მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე და კაპიტანი ელმაშ კრეიჩი წარმოადგენდნენ, ხოლო საქართველოს ნაკრებს — ერთ-ერთი თავკაცი დავით ჩავლეიშვილი და კაპიტანი პალიკო ჯიმშელაძე. სამი თვეა, რაც ჩეხეთის ნაკრებს ლევან მგელაძე წვრთნის. ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშიც სწორედ ის მოექცა და კითხვების უმეტესობასაც უპასუხა**

**— ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— არა, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე გვაკლია, ზოგი ტრავმის გამო, ზოგიც ფრანგულმა კლუბებმა არ გამოუშვეს, მაგალითად მარტინ იაგრი და ვონდრაშეკი, რომელიც ჩვენი გუნდის კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერია.

**— როგორია ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელობა, და რა მოგეწონათ უფრო მეტად ამ სამი თვის განმავლობაში?**

— ვინატრებდი, რომ საქართველოშიც ჰქონდეთ კლუბებს ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორიც ჩეხეთის ჩემპიონატშია. გამოვყოფდი საქმისადმი პროფესიული მიდგომასაც.

**— კონტრაქტი რა ვადიანია და თუ აპირებთ ჩეხეთის ნაკრებში მუშაობის გაგრძელებას?**

— კონტრაქტი 19 მაისს მიმთავრდება და მის გახანგძლივებას აღარ ვაპირებ. მე პარალელურად პრაღის „სპარტას" მწვრთნელიც ვარ. მინდა, რომ კარიერა სხვა გუნდში და ქვეყანაში გავაგრძელო. აქვე გეტყვით, რომ „სპარტა" ჩეხეთის ნაკრების საბაზო გუნდია და ჩემპიონატში მოწინავე პოზიციები უკავია.

**— როგორ მოგეწონათ ჩვენი განახლებული სტადიონი?**

— დიდი ხანია, რაც თბილისში არ ვყოფილვარ. ქალაქის იერსახე სასიამოვნოდ არის შეცვლილი, ხოლო სტადიონს რაც შეეხება, ძალიან ლამაზია და კომფორტულად მოწყობილი.

***ტომაშ კრეიჩი, ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი:***

— გუნდში საბრძოლო განწყობაა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად. რუმინეთთან მატჩში მთელი ოთხმოცი წუთის განმავლობაში ვიბრძოდით და დავამტკიცეთ, რომ ადვილად მოსარევი გუნდი არ ვართ.

***დათო ჩავლეიშვილი:*** როგორ ყველა თამაშს, ხვალინდელ შეხვედრასაც პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ლევან მგელაძე კარგი სპეციალისტია და მისი ხელი აუცილებლად დაეტყობა ჩეხეთის ნაკრებს. ამიტომ მოდუნების უფლება არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს.

***პალიკო ჯიმშელაძე:*** ვეცდებით, ლამაზი და კომბინაციური თამაში ვაჩვენოთ და ის ხარვეზები გამოვასწოროთ, რაც რუსებთან შეხვედრისას გვქონდა. ერთა თასზე საკმაოდ მაღალი დონეა. ყველა მოპოვებულ ქულას ფასი აქვს და მოტივაციის არქონაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთი ინფორმაციაც: გუშინდელ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და დღეს ვერ ითამაშებს მორკინალი ზვიად მაისურაძე. მის ნაცვლად ჩვენების მწვრთნელებმა თბილისის „ხულიგანს" ფორვარდ ვახტანგ ახვლედიანს უხმეს.

**ზურაბ მიგრიაული**

| საქართველო | | ჩეხეთი |
|---|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე (კაპ) | 15 | იან რუდოლფი |
| გიორგი შკინინი | 14 | ტომაშ ნოვიცკი |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 13 | პაველ ვოკროუხლიკი |
| ირაკოლი გიორგაძე | 12 | იაროსლავ ტომჩიკი |
| ბესიკ ხამაშურიძე | 11 | მიხალ შლანგერი |
| მერაბ კვირიკაშვილი | 10 | ტომაშ კრეიჩი (კაპ) |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | ვიტესლავ დოსედლა |
| ბესიკ უდესიანი | 8 | კარელ კუჩერა |
| გიორგი ჩხაიძე | 7 | ვლასტა მადრი |
| ილია მაისურაძე | 6 | ტომაშ ვენიგერი |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 5 | მირეკ ნემეჩეკი |
| ვიქტორ დიდებულიძე | 4 | მარტინ დლოუხი |
| ავთო კოპალიანი | 3 | პაველ ინდრაკი |
| დავით დადუნაშვილი | 2 | იან ოსვალდი |
| დავით გასვიანი | 1 | რომან შუსტერი |
| **სათადარიგოები** | | |
| გიორგი ჟღენტი | 16 | იარ ზახარიაში |
| მამუკა მაგრაქველიძე | 17 | ირი სკალი |
| შალვა სუთიაშვილი | 18 | იან ბენდა |
| ვახტანგ ახვლედიანი | 19 | მარტინ მენშიკი |
| ბიძინა სამხარაძე | 20 | პაველ სიროვი |
| დავით კაჭარავა | 21 | მიხალ ირმანი |
| ოთარ ელოშვილი | 22 | ონერ ლუკაში |

მსაჯები: ჟან კრისტოფ გასტუ, ჟან მიშელ შუცი, ჟან ლუკ გონსალესი (საფრანგეთი)

# ევროლიგა

## მეოთხედფინალი. ორ მოგებამდე

**მაკაბი 68:56 ცსკა (1:1)**

მაკაბი: ვუიჩიჩი (15 ქულა, 9 მოხსნა), ბინუმი (14 ქულა, 5 პასი), ელიაუ (13 ქულა, 10 მოხსნა)
ცსკა: ტორესი (12 ქულა, 7 მოხსნა), ლანგდონი (11)

**ბარსელონა 80:58 უნიკახა (1:1)**

ბარსელონა: ნავარო (25), ტრიასი (11)
უნიკახა: კაბეზასი (11), ფეისონი (11)

**დინამო 80:58 *პანათინაიკოსი* (0:2)**

დინამო: პაპადოპულოსი (13), ფოცისი (11)
პანათინაიკოსი: შიშკაუსკასი (19), დიამანტიდისი (11)

**ოლიმპიაკოსი 89:95 ტაუ (0:2)**

ოლიმპიაკოსი: აკერი (19), დომერკანტი (17), მასიაუსკასი (13)
ტაუ: სკოლა (20 ქულა, 10 მოხსნა), სპლიტერი (18 ქულა, 9 მოხსნა), რაკოჩევიჩი (17)

# რუსული არმია ისრაელში შერცხვა

## ტაუმ და პაუმ ათენი დაიბვეს



AFP

ვილ ბინუმი და მისი „მაკაბი“ არმიელებმა ვერ შეაჩერეს

**გუშინწინ** გაცხადდა ის ორი გუნდი, რომლებმაც ევროლიგის ოთხთა ფინალის საგზურები მოიპოვეს. ბასკურმა „ტაუმ“ და ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ მეოთხედფინალური საპლეიოფო სერიის მეორე მატჩებიც მოიგეს და 4-6 მაისს ათენის ოლიმპიურ დარბაზში კონტინენტის მთავარი საკლუბო ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

ორივე გუნდს ჯაფა დაადგა, სტუმრად რომ ემარჯვათ, მაგრამ საბოლოოდ „ტაუმაც“ და „პაუმაც“ საწადელი აისრულეს. ბასკებმა სულაც ფეთიანი ქომაგებით ცნობილ ათენში მოიგეს, სადაც „ოლიმპიაკოსი“ სტუმრებს ბოლომდე უძალიანდებოდა, მაგრამ ამაოდ. „პანათინაიკოსმა“ კი მოსკოვში დაძლია „დინამოს“ წინააღმდეგობა, ვისგანაც არათუ ოთხთა ფინალი, აქამდე მოსვლაც გასაკვირი იყო. „დინამო“ ევროლიგის დებიუტანტია და ეს გუნდი ისედაც არ განეკუთვნება ბფობოლათა კატეგორიას. მოსკოველთა თავკაცი დუშან ივკოვიჩი მიღწეულითაც კმაყოფილია და ევროლიგას ამ სიტყვებით ემშვიდობება:

„ვულოცავ „დინამოს“ და მის ქომაგებს პირველი ევროლიგური სეზონის წარმატებით დასრულებას. ამ საპლეიოფო სერიაში ძლიერმა იმარჯვა და „პანათინაიკოსს“ ოთხთა ფინალშიც წარმატებას ვუსურვებ“.

დანარჩენ მეოთხედფინალებში ბრძოლა მესამე, გადამწყვეტ მატჩებში გადაიზარდა, რადგან „მაკაბიმ“ და „ბარსელონამ“ შინ იმარჯვეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს. კატალონიელები რომ მალაგელებს დაამარცხებდნენ, ამაში უცნაური არაფერი ყოფილა, აი, ცსკა-ს თელ ავივში წაგება კი მართლაც მოულოდნელი იყო.

„მე ბიჭებს ვუთხარი, რომ ეს იყო ჩვენი ბოლო შინაური მატჩი ამ სეზონში და რომ „მაკაბის“ ერთგული ფანები არ იმსახურებდნენ იმედგაცრუებას — თქვა „მაკაბის“ თავკაცმა ნევენ სპაჰიამ — მოსკოვში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, თუმც ორ დღეში მოვახერხეთ მობილიზება და ვფიქრობ, რაც მე ამ გუნდის მწვრთნელი ვარ, „მაკაბის“ ასე კარგად არ უთამაშია. ცსკა-ს ახლა საკმაო დრო აქვს მოსამზადებლად, მაგრამ არც ჩვენ ვიქნებით გულხელდაკრეფილნი. „მაკაბიმ“ დიდებული დაცვა ითამაშა, რაზეც მთელი სეზონი ვმუშაობდით. გადამწყვეტი მატჩისთვის ჩვენც ვემზადებით და მოსკოვში არმიელებისთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. ბრძოლა იქნება უშელავათო და ბოლომდე“.

„მაკაბიმ“ უბრალოდ კი არ დაამარცხა ცსკა, არამედ ამ მატჩში ერთობ საამაყო რეკორდიც გამოაცხო. ევროლიგის მეოთხედფინალურ ეტაპებზე არავის მოუხვეჭია ისე ცოტა ქულა, რამდენიც ცსკა-ს ანგარიშზე მოდის. „მაკაბისთან“ მატჩში მოსკოველებმა ებრაელთა 68 ქულის წილ 56 ჩააგდეს და ანტირეკორდიც „მიითვალეს“. თანაც ცსკა-ს ეს მატჩი რომ მოეგო, ევროლიგის წაუგებელი სერიის რეკორდს დაამყარებდა. აქამდე არმიელები გათანაბრებული იყვნენ ამ რეკორდთან — მიჯრით 18 მატჩი მოეგოთ, მაგრამ ეს წარმატებული სვლა ისრაელში დაასრულეს.

ცსკა-ს შანსი არ ჰქონია, ისე წააგო. „მაკაბიმ“ ჯერ პირველ მეოთხედში მოაწყო 13-ქულიანი გაქცევა, ხოლო მეორეში 14 უპასუხო ქულა უთავაზა რუსებს და 49:27 დაწინაურდა. ამის შემდეგ დაიწყო არმიელთა თავგანწირული ბრძოლა გასათანაბრებლად, მაგრამ თელავიველებთან 9 ქულაზე ახლოს ვერ მივიდნენ.

გადამწყვეტი მატჩები 12 აპრილს გაიმართება. ცსკა შინ „მაკაბის“ შეხვდება, „უნიკახა“ — „ბარსას“ და საოთხთაფინალო ოთხკუთხედიც შეიკვრება.

**ირაკლი ბერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# თავთან იყავი მართალი

## ფინიქსური თვითლიკვიდაცია




სანანტონიოელი ტიმ დანკანი ფინიქსელ სტივ ნეშს უფარებს

5 აპრილი

**სან ანტონიო 92:85 ფინიქსი**

სან ანტონიო: პარკერი (35), დანკანი (22 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), ფინლი (19 ქულა, 10 მოხსნა)
ფინიქსი: ნეში (20), მერიონი (17), სტუდემაიერი (15), ბარბოსა (12)

სულ რამდენიმე დღის წინ იყო, „ფინიქსმა“ ლიგის უძლიერეს გუნდ „დალასს“ 24 ქულით რომ მოუგო. ახლა ის „სან ანტონიოსთან“ დამარცხდა. თავად „სან ანტონიომ“ ამ რეგულარულში „დალასთან“ სამიდან ორი მატჩის წაგება მოასწრო და მეოთხეს სტუმრად ეთამაშება, რომლის მოგების ასევე არცთუ დიდი შანსი აქვს. მოკლედ, ვერ გაიგებ, ამათ შორის რომელია უკეთესი.

თქვენთანაც რომ გულახდილები ვიყოთ და თავიც არ დავიღალოთ ამაზე ფიქრით, აქედანვე ვთქვათ, რომ მჯობნის წინასწარ გამოცნობა დიდი სისულელეა. საუკეთესოს გასარკვევად, მადლობა ღმერთს, პლეი ოფი არსებობს, რომლის დაწყებამდე ორი კვირაღა რჩება და ჩვენც მოვიცადოთ. ისე, ჩემპიონობის სხვებზე მეტი შანსი სწორედ ზემოხსენებულ სამ გუნდს აქვს და აქ დავასრულოთ ეს უსარგებლო მონოლოგი.

თამაში თავიდან ბოლომდე დაძაბული გამოვიდა. „ფინიქსი“ უცნაურად ბურთობდა — მაიკ დანტონის შეგირდებს მოულოდნელად ძალიან კარგად გამოუვიდათ დაცვაში თამაში, რისი წყალობითაც პირველ 24 წუთში მხოლოდ 36 ქულა ჩააგდებინეს „სან ანტონიოს“. მაგრამ ამ არაბუნებრივი მეტამორფოზით არეულებმა საკუთარი, ანუ შეტევაში თამაშის დალაგება ვერ შეძლეს და პირველ ტაიმში 37 ქულას დასჯერდნენ. ამ ყოველივემ სულ მალე ცუდი შედეგი მოუტანა სტივ ნეშსა და კომპანიას. „სან ანტონიო“ ბოლო 8 სეზონში სამჯერ ჩემპიონი პაერზე არ გამხდარა. ტეხასელებმა მალევე გაშიფრეს არიზონელები და პირველ რიგში დაცვა მიუნგრიეს. „სფურზის“ ფრანგმა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა „სანზს“ ლამის ორპირი ქარები გაუჩინა. ყველამ იცის, რომ „ფინიქსის“ ლიდერი და ორგზის სეზონის საუკეთესო მოთამაშე სტივ ნეში დაცვაში არცთუ ძლიერი და შეუვალია და ეს ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა მისი და პარკერის დუელში. ამ უკანასკნელმა აშკარად იმარჯვა, „სან ანტონიოს“ მესამე მეოთხედი 35:22 მოაგებინა და გადამწყვეტი 12-წუთეულის წინ 12 ქულით დააწინაურა.

თუმც ეს არ იყო დასასრული, „ფინიქსს“ გაცილებით დიდი სხვაობა გაუბათილებია და ეს თითქმის ახლაც მოახერხა. ნეში და კომპანია გვიან, მაგრამ მაინც მიხვდნენ, რომ ბედნიერება ისევ შეტევაში უნდა ეძებნათ. ფინალური შტურმი ისევ ნეშმა დაიწყო, როცა კუთხიდან სამქულიანი ჩააკალათა და ამას შონ მერიონმა სულ მალე სწრაფი და იოლი ჩატენვა მიაყოლა. შეხვედრის დამთავრებამდე კიდევ რჩებოდა თითქმის სამი წუთი და „ფინიქსს“ ზურგზე ისე აღარ აწვებოდა 8-ქულიანი სხვაობა, როგორც 13-იანი. ამასთან მომდევნო ორ შეტევაში სტუდემაიერმა და ისევ მერიონმა კიდევ 4 ქულა გაშანსეს და თავიანთი გუნდი 81:85 მოაახლოვეს მეტოქეს. მაგრამ ორნახევარწუთიანი მონაკვეთის 0:9 წაგების შემდეგ „სან ანტონიო“ ლეთარგიიდან გამოერკვა. ისევ ტონი პარკერმა იყოჩაღა, 88:81 წასწია თავისი გუნდი და ყველაფერიც აქ გადაწყდა.

ეს მატჩი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს „ფინიქსისთვის“, რომელმაც რამდენიმე სეზონური ანტირეკორდი ირგუნა — თამაშიდან ყველაზე ცოტა ჩაგდება ერთ მატჩში (32), ყველაზე ცუდი პროცენტი (38,6) და რაც მთავარია, ყველაზე ცოტა პასი (14). ამიტომაც წააგო „ფინიქსმა“ ასე, რომ პასები მოაკლდა. სტივ ნეში 14 პასს ხშირად მარტო აკეთებს ხოლმე, ახლა კი მხოლოდ შვიდს დასჯერდა და შედეგად, გუნდის არც ერთ წამყვან მოთამაშეს არ მოუგროვდა ქულათა საპატიო ოდენობა.

**კლივლენდი 90:94 მაიამი**

**ძირითადი დრო 83:83**

კლივლენდი: ჯეიმსი (35), გუდენი (14 ქულა, 14 მოხსნა), პოუზი (14), პავლოვიჩი (14)
მაიამი: ონილი (20), უოლკერი (20), ჰასლემი (15), ჯონსი (13), კაპონო (11)

როგორც ამის ბევრს სჯეროდა რეგულარული სეზონის შუაწელს, პლეი ოფი ჩემპიონის გარეშე არ ჩაივლის. „მაიამი“ აშკარად და მეტოქეთა გულსახეთქად მომძლავრებულა და ყოჩაღი „კლივლენდის“ ძლევით პლეი ოფში თამაში ორი კვირით ადრე დაიბევა. ამასთან, ყველამ იცის, რომ ჩემპიონები იქ მხოლოდ მონაწილეობას და პირველი ან თუნდაც მეორე წრიდან გამოვარდნას არ დაჰყაბულდებიან. ისინი ბოლომდე ბრძოლას აპირებენ და დიდად კმაყოფილებიც დარჩებიან, მესამე ნომრად განთესვა რომ მოახერხონ. ამით პირველ მეტოქედ ჯილბერტ არენასის გარეშე დარჩენილ „ვაშინგტონს“ შეიხვედრებენ და მეორე წრეშიც, სავარაუდოდ, „კლივლენდთან“ მოუწევთ ჭიდაობა, რომელსაც აგერ ახლა მოუგეს.

ლებრონ ჯეიმსისა და მისი ბიჭების დაშამათებას მაიამელებმა მოზომილ 48-ზე 5 წუთით მეტი მოანდომეს, მაგრამ მთავარია, რომ მაინც იმარჯვეს. შაკილ ონილმა აშკარად დაჯაბნა ახმახი ლიტველი ოპონენტი ჟიდრუნას ილგაუსკასი და არც დანარჩენ კლივლენდელებს მიეცათ ბევრის ჩაგდების უფლება. ლებრონის 35 ქულა კი ჩემპიონებმა ასე თუ ისე აიტანეს.

**კოტე ყორშია**

# ფარდა არენაზე

სეზონი დამთავრდა „ვაშინგტონის“ ლიდერ ჯილბერტ არენასისთვის. ამ რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ 28,5 ქულის და 6,0 პასის მშოვნელმა არენასმა „შარლოტთან“ შეხვედრაში მენისკის ტრავმა მიიღო და თან იმდენად სერიოზული, რომ მალევე მოუხდა ქირურგთა დანებქვეშ დაწოლა. ექიმთა თქმით, ის სულ ცოტა ორ თვეს ვერ გავა მოედანზე. ამასობაში კი „ვაშინგტონი“ უმისოდ დ უიმედოდ შეაბიჯებს პლეი ოფში, სადაც, სავარაუდოდ, „მაიამის“ ან „ტორონტოს“ შეეტაკება და ლიდერის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, რომელიმეს რამე დააკლოს.



## ევროპის ჩემპიონატი
ბელგრადი, სერბეთი. 6-8 აპრილი

# ქართველების სერბული ერბო: ოქრო და ბრინჯაო



ნესტორ ხერგიანმა ბელგრადში ბრინჯაო ირგუნა

ოქრო და ბრინჯაო, ევროპის ჩემპიონატის უკეთეს დასაწყისს ნამდვილად ვერ ვინატრებდით. თანაც, ოქროც არის და ოქროც — საქართველოს 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენმა ზაზა კედელაშვილმა შარშან, ფინურ ტამპერეში მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნა და თანაც, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მასპინძელ მილოშ მიალკოვიჩს აჯობა.

სანამ კედელაშვილი და მიალკოვიჩი ტატამზე გავიდოდნენ, იქვე, ბელგრადში, დევისის თასის მატჩის პირველ დღეს სერბმა ჩოგბურთელებმა ორივე თამაში მოუგეს ქართველებს და ზაზამ მასპინძლებს სრული სიხარულის საშუალება უაღრესად დაძაბული ბრძოლის დამატებით დროში მოუსპო.

ფინალისკენ სავალი გზა გაცილებით იოლი იყო. პირველ წრეში კედელაშვილმა ნორვეგიელ დალ ოლბინს ვაზარით აჯობა, შემდეგ გაბერძნებული ქართველი ტარიელ ზიდირიდისი იპონით დაამარცხა, იპონითვე დაჯაბნა პორტუგალიელი პედრო დიასი, ვისთანაც ევროპისწინა ვარშავის მსოფლიოს თასზე წააგო და ნახევარფინალში კი ქულებით სძლია ჰოლანდიელ დექს ელმონს.

ზაზა კედელაშვილი ევროპის ორგზის ჩემპიონია და ნესტორ ხერგიანმა კი თავისი ჯილდოების მრავალრიცხოვან კოლექციას სერბული ჩამოსხმის ბრინჯაოც შემატა. პირველ წრეში ნესტორმა თურქი ქემალ ოგუზი დაამარცხა, ხოლო შემდეგ მისთვის მეტად უხერხულ მეტოქეს, ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს მოუგო. ხერგიანის მესამე მეტოქე ჰოვანეს დავთიანი იყო და სომეხმა ქართველს ვაზარით აჯობა. შედეგად, ნესტორი რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ბელგიელი ფაბრის ფლამანი კოკათი დაჯაბნა, ხოლო სლოვენიელ როკ დრეკსიჩს იპონით მოუგო და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ლიტველ ალბერტ ტეჩოვს დაეჭიდა. უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში ქართველმა კოკათი იმარჯვა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გოდერძი ველიჯანაშვილის გაწვრთნილ გოგონათა ხუთეულიდან გუშინ ტატამზე სამი გავიდა და სამივემ პირველსავე მეტოქესთან წააგო. ნაია ვეშაგურს (48კგ) ებრაელმა რონი შვარცმა აჯობა, მარიამ ტარუაშვილს (52კგ) — პოლონელმა მონიკა საბაჟმა, ხოლო დურსუნდაფ ქერიმოვას (57კგ) — ავსტრიელმა საბრინა ფიზმოსერმა. ქართველების მძლეველი სამეულიდან ნახევარფინალს ვერც ერთმა ვერ უწია და ბრინჯაოს შანსიც დაიკარგა. საჭიდაო ანა ძაძამიას (63კგ) და ირინე ლეონიძეს (+78კგ) დარჩათ. ანა დღეს ფინელი იოანა იულიენის პირისპირ დადგება, ირინა კი თურქ ლუგსაჰ კოცათურქს შეხვდება.

დღეს ტატამზე 73 და 81 კილოგრამიანი კაცები გავლენ. სამგზის ევროპრიზიორი დავით ქევხიშვილი (73კგ) პირველ წრეში პოლონელ პაველ ზიდაკს დაეჭიდება. გამარჯვების შემთხვევაში კი მოლდოველ ვიქტორ ბივოლსა და ბოსნიაჰერცოგოვინელ მიტარ მრდიჩს შორის მოგებულს. კენჭისყრამ ჩვენებურს ორი ყველაზე არასასურველი მეტოქე, მსოფლიოს უნგრელი ჩემპიონი აკოშ ბრაუნი და ევროპის 2004 წლის ესპანელი ჩემპიონი კიოში უემაცუ ფინალამდე ააცილა. ყველაზე სახელიანი კი ქევხიშვილის ბადეში მოქმედი ევროპის ჩემპიონი, აზერბაიჯანელი ელნურ მამადლია. მისი და ქევხიშვილის გზები ნახევარფინალში იკვეთება.

გიორგი ბაინდურაშვილი (81კგ) სადებიუტო ევროპირველობას ბულგარულ როსენ დიმიტროვთან ან უნგრელ შანდორ ნაგისოლიმოსთან შეხვედრით გახსნის. ამ ორს შორის საუკეთესოს გიორგი მეორე წრეში დაელოდება. პირველში კი კენჭისყრამ დასვენების საშუალება მისცა.

ბოლო სამ წონაში მედლები ხვალ გათამაშდება. ირაკლი ცირეკიძე (90კგ) ტურნირს ხორვატ ტომისლავ ვუჩაკთან დაპირისპირებით დაიწყებს. მოგებულს მეორე წრეში თურქი ბურაკ კოჩანი დაელოდება. წესით ამ ორი მეტოქის ჩამოცილება ჩვენებურს არ უნდა გაუჭირდეს. მესამე წრეში კი გაცილებით ძლიერ ძიუდოისტს შეხვდება. სავარაუდო ოთხეულიდან სამი ევროპის პრიზიორია. ესტონელი დიმიტრი ბუდოლინიდან, იტალიელი რობერტო მელონიდან და ბრიტანელი ვინსტონ გორდონიდან ყველაზე არასასურველი მეტოქე ალბათ გორდონია. სწორედ ამ შავკანიან ახმახთან წააგო ირაკლიმ შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე.

შოთა ხაბარელის გუნდის მეორე დებიუტანტი ლევან ჟორჟოლიანი (100კგ) პირველ წრეში დაისვენებს. მეორეში კი აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ მოვლუდ მირალიევსა და ჩერნიგორიელ ნოვიცა მილოვიჩს შორის გამარჯვებულს დაეჭიდება. ჩვენებურის ბადეში მოხვდა უძლიერესი რუსი რუსლან გასიმოვი. ამ ევროპის ჩემპიონს ლევანი სავარაუდოდ ნახევარფინალში დაუპირისპირდება, თუმცა იქამდე ერთი მეტოქის ჩამოცილებაც დასჭირდება. თავად გასიმოვს კი მთავარი გამოცდა პირველსავე წრეში ექნება ჩასაბარებელი. იგი კენჭისყრამ წონამომატებულ მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ ფრედერიკ დემონფოკოს გადაჰყარა.

ყველაზე მეტად წილისყრამ მძიმეწონოსან ლაშა გუჯეჯიანს არ გაუმართლა. წინასაჩემპიონატო ბორჯომულ შეკრებაზე ვისგან არ გაიგებდით, მთავარია „გუჯეჯა" რუსი ალექსანდრ მიხაილინის ბადეში არ მოხვდეს და ფინალამდე ვერავინ შეაჩერებსო. ამ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონთან კი ჩვენებურს ყოველთვის უჭირდა.

ბელგრადში ქართულ-რუსული გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთება, თუმცა ეგებ ისეც მოხდეს, ყველასგან ფავორიტად შერაცხულმა მიხაილინმა თავიდანვე წაიფორხილოს. მეტოქეც ისეთი ჰყავს — მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ოლიმპიური და ევროპის პრიზიორი ჰოლანდიელი დენის ვან დერ ჰესტი. ცნობისთვის, ამ უკანასკნელმა შარშანდელ ფინალში კიდევ ერთი რუსი ჩემპიონი ტამერლან ტმენოვი დაამწუხრა. ლაშა გუჯეჯიანი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვება და ბულგარელ ივან ილიევსა და ბრიტანელ ჯონ ელაის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**ოთარ გალაკელიძე**

### კაცები

| 60 კგ | 66 კგ |
|---|---|
| 1. რუსლან კიშმაკოვი (რუსეთი) | 1. ზაზა კედელაშვილი (საქართველო) |
| 2. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) | 2. მილოშ მიალკოვიჩი (სერბეთი) |
| 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო) | 3. ტომაშ ადამეცი (პოლონეთი) |
| 3. გელ იეკუტიელი (ისრაელი) | 3. ბენჟამენ დარბელე (საფრანგეთი) |

### ქალები

| 48 კგ | 52 კგ | 57 კგ |
|---|---|---|
| 1. ელინა დუმიტრუ (რუმინეთი) | 1. ტელმა მონტეირო (პორტუგალია) | 1. ისაბელ ფერნანდესი (ესპანეთი) |
| 2. ვალენტინა მოსკატი (იტალია) | 2. აუდრეი ლა რიზა (საფრანგეთი) | 2. ივონ ბონიში (გერმანია) |
| 3. ფედერიკე ჟოსინეტი (საფრანგეთი) | 3. პეტრა ნარეკსი (სლოვენია) | 3. ქიფაიათ გასიმოვა (აზერბაიჯანი) |
| 3. ვანესა არენასი (ესპანეთი) | 3. ილზე პეილენი (ბელგია) | 3. საბრინა ფილზმოსერი (ავსტრალია) |



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



AFP

## ლონდონიდან ყველაზე წონიანი მასა ჩანს

ხვალ „სამეფო" პილოტები მეცხრედ გაიჯირითებენ მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურის სუპერთანამედროვე ავტოდრომზე. ურთულესი კლიმატური პირობების — აუტანელი სიცხისა და ლამის წვიმის დარი ტენიანობის მიუხედავად, „სეპანგი" პრაქტიკულად ყველა მრბოლისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ტრეკია, ფართო და გრძელი, სწორი მონაკვეთებითა და ჩქაროსნული მოსახვევებით.

დღევანდელებიდან მალაიზიაში ოთხს გაუმარჯვია — ფერნანდო ალონსოს, კიმი რაიკონენს, რალფ შუმახერს და ჯანკარლო ფიზიკელას, თუმც რენოელ „ფიზიკოს" გარდა სხვები წლეულს სხვა ბოლიდების საჭეს უსხედან.

მიუხედავად იმისა, რომ „სეპანგზე" ოთხჯერ გაქროლილი ბრაზილიელი ფელიპე მასა ერთხელაც ვერ შედგა პოდიუმზე, ბრიტანელი ბუქმეიკერები სწორედ მას თვლიან გამარჯვების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად და წინა, ავსტრალიური ეტაპის ჰეთ თრიქით მოგებ მის თანაფერარელ კიმი რაიკონენზე მაღალ კოეფიციენტს აძლევენ — 2,6. რეიტინგით მესამე, მსოფლიოს ორგზის ტრიუმფატორ ალონსოს კოეფიციენტია 4,0, მეორეა მისი ახალბედა თანამაკლარენელი ლუის ჰემილტონი — 10,0.

გუშინ ორივე საათნახევრიან თავისუფალ პრაქტიკაში უსწრაფესი ფელიპეს „ფერარი" იყო, რაიკონენმა ორჯერვე მეოთხე დრო აჩვენა. სკუდერიელთა შორის პირველ გასვლაზე მაკლარენელები ალონსო და ჰემილტონი იყვნენ, მეორე ცდის შემდეგ მათი პოზიციები რენოელებმა — ფიზიკელამ და ფინელმა დებიუტანტმა ჰეიკი კოვალაინენმა დაიკავეს.

საკითხი ამჟამად ასე დგას: შეძლებს თუ არა „ფერარი" ავსტრალიაში მოპოვებული უზარმაზარი უპირატესობის შენარჩუნებას, თუ „მაკლარენი" და „რენო" წითლებს წამოეწევიან?

რაიკონენი თვლის, რომ მას ძალუძს მელბურნში წარმატების გამეორება, მით უმეტეს, რომ ავსტრალიაში რბოლის მიწურულს მის ძრავაში უწესივრობის მიუხედავად, მოტორს არ შეცვლიან და სტარტზე ათსაფეხურიან სანქციას აიცილებს.

ალონსოს აზრით, მისმა „მაკლარენ-მერსედესმა" ერთი კვირის წინანდელ ტესტებზე გარკვეულ პროგრესს კი მიაღწია, თუმც მეტოქეებიც არ მდგარან ადგილზე და მალაიზიაშიც იგივე სურათს ვიხილავთ — „ფერარი" ისევ ყველაზე სწრაფი იქნება.

ფიზიკელა ზოგადად ამბობს, „რენო" სეპანგზე ყოველთვის კარგად გამოდიოდა და ვფიქრობ, ახალ ბოლიდთან პრობლემები არ შეგვექმნება. მოკლედ, ვეცდებით, ნაბიჯნაბიჯ შევამციროთ ლიდერებთან ჩამორჩენაო.

**გია ახალაძე**

Formula 1

მეორე ეტაპი მალაიზიის დიდი პრიზი

### სეპანგი

*კუალა ლუმპური, 8 აპრილი*



ტრასის სიგრძე------------------------------5.543 კმ

რბოლის დისტანცია ------------------------ 56 წრე – 310.408 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 11 საათზე*

**შარშან:** 1 ფიზიკელა (რენო); 2 ალონსო (რენო); 3 ბატონი (ჰონდა); 4 მონტოია (მაკლარენი); 5 მასა (ფერარი); 6 მ. შუმახერი (ფერარი); 7 ვილნევი (BMW-ზაუბერი); 8 რ. შუმახერი (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2004 — მონტოია (უილიამსი) 1:34.223 (211,8 კმ/სთ)

# დევისის თასი 2007

ევროაფრიკული ზონის I ჯგუფი. ბელგრადი, სერბეთი. 6-8 აპრილი

## სერბეთი 2:0 საქართველო

1:0 ნოვაკ ჯოკოვიჩი — გიორგი ჭანტურია 6:1 5:0 *(უარი)*
2:0 იანკო ტიპსარევიჩი — ლადო ჩიხლაძე 6:4 6:4 7:5

# უშანსო თამაში



გიორგი ჭანტურიამ ნოვაკ ჯოკოვიჩისგან გაკვეთილი მიიღო

**მოსალოდნელი** იყო და ასეც მოხდა — სერბმა ჩოგბურთელებმა პირველივე დღეს ერთეულთა ორივე მატჩი მოუგეს ქართველებს და ამ სადევისთასო შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს.

ამაში გასაკვირი არაფერია. ჩვენი ლიდერი ირაკლი ლაბაძე ტრავმის გამო არ თამაშობს, ხოლო სერბებს ნოვაკ ჯოკოვიჩი ჰყავთ და სიმართლე რომ ითქვას, ყველაფერი თამაშამდეც ნათელი იყო.

18 წლის გიორგი ჭანტურიამ, ვინც ოდენ მეორე სადევისთასო მატჩს ატარებდა, ჯოკოვიჩს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მერე ტრავმის გამო საერთოდ შეწყვიტა თამაში, ხოლო ლადო ჩიხლაძე თითოეულ პარტიაში ბოლომდე კი ებრძოდა რეიტინგში მასზე გაცილებით მაღლა მდგომ იანკო ტიპსარევიჩს, მაგრამ მაინც სამ სეტში დამარცხდა.

### ქალები

ამელია აილენდი. აშშ. თიხნარი. საპრიზო 600 000 $

#### მესამე წრე

**ნადია პეტროვა** (1, რუსეთი) — ჟი ჟენგი (15, ჩინეთი) 6:2 6:3; **დინარა საფინა** (5, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (11, სლოვენია) 6:3 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (3, სლოვაკეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:1 6:4; **სიბილ ბამერი** (13, ავსტრია) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 6:2 6:3; **ტატიანა გოლოვინი** (8, საფრანგეთი) — სამანტა სტოსური (12, ავსტრალია) 6:2 6:1; **ვინუს უილიამსი** (აშშ) — მეილე ტუ (აშშ) 6:2 7:5; **ანა ივანოვიჩი** (6, სერბეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ალონა ბონდარენკო (16, უკრაინა) 6:2 6:0



### ქალთა და კაცთა ევროპის ჩემპიონატები

დრეზდენი. გერმანია. 2-16 აპრილი

# ძაგნიძემ ეტლით გაისეირნა

#### III ტური

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| იური კუზუბოვი (უკრაინა) | 1:0 | ბადურ ჯობავა (საქართველო) |
| დავით ლობჟანიძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ბიორნ ბენტე (გერმანია) |
| ბერნდ სალევსკი (გერმანია) | 0:1 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ტომას პეტრიკი (სლოვაკეთი) |
| აირიდას სავიცკასი (ლიტვა) | 0:1 | დავით შენგელია (საქართველო) |
| თორნიკე სანიკიძე (საქართველო) | 0,5:0,5 | კარენ ასრიანი (სომხეთი) |
| ალინ არდელეანუ (რუმინეთი) | 1:0 | გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო) |
| დავით არუთინიანი (საქართველო) | 0,5:0,5 | ვლადისლავ ტკაჩევი (საფრანგეთი) |
| პაველ პოტაპოვი (რუსეთი) | 0,5:0,5 | კონსტანტინე შანავა (საქართველო) |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| სოფიკო გურამიშვილი (საქართველო) | 1:0 | ვერენა ნაჯელი (გერმანია) |
| სვეტლანა ვასილკოვა (რუსეთი) | 0,5:0,5 | ნინო ხურციძე (საქართველო) |
| ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 1:0 | იოანა დვორაკოვსკა (პოლონეთი) |
| მარტა მიჩნა (პოლონეთი) | 0,5:0,5 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| სოფიო გვეტაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | მარია მუზიჩუკი (უკრაინა) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 1:0 | ელენა ჩერედნიჩენკო (უკრაინა) |
| კატერინა ლაჰნო (უკრაინა) | 1:0 | სალომე მელია (საქართველო) |
| ეკატერინა კორბუტი (რუსეთი) | 1:0 | სოფიკო ხუხაშვილი (საქართველო) |
| მარიამ დანელია (საქართველო) | 1:0 | სოფი სიბერი (ინგლისი) |

**ევროპის** 2003 წლის ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა დრეზდენში პირველი პარტია მოიგო.

ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა შავი ფიგურებით ჩემპიონატზე 387-ე ნომრად განთესილი ბერნდ სალევსკი შეუსრა და ცხრილის ფსკერს დაემშვიდობა. პარტია საინტერესო გამოდგა. ქართველმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, იერიშებს მიმართა და მეტოქე 48-ე სვლაზე დაამარცხა.

ჩვენი კაცებიდან ასევე დავით შენგელიამ იყოჩაღა და აქტივში მეორე ქულა ჩაიწერა.

ჩემპიონატს კი 3-3 ქულით ხუთი დიდოსტატი ლიდერობს.

უკეთესი მდგომარეობაა ქალებში. 20 წლის ნანა ძაგნიძემ ჩემპიონატის 42-ე ნომერ იოანა დვორაკოვსკას თეთრი ფიგურებით მოუგო და სამქულიან ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ქართველმა პარტია ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-7 სვლაზე ხელმწიფე საიმედოდ დააბინავა და მხედრებით იერიშებს შეუდგა. თანდათან იოანაც გააქტიურდა, პაიკები ცენტრში მოაქუჩა და ქართველის შეტევებს დიდი წინააღმდეგობა დაახვედრა. ძაგნიძემ მარცხენა მხარე განავითარა, პაიკები საომრად დაქოქა და უკან მსუბუქი ფიგურები დაუყენა. იერიშებისას ნანამ ყურადღება მოადუნა, ფლანგი გააშიშვლა და მე-40 სვლაზე შავი ეტლით სახიფათო დარტყმა მიიღო. მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენებურმა გაცვლებს მიმართა, მოწინავე ფიგურები უკან დააბრუნა და ხარისხიც დაკარგა. ძაგნიძემ ეტლით შეუტია მეტოქეს, ამასთან e ხაზზე მდგარი პაიკი ჩასათვლელი ზონისკენ გაუშვა და შავებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. დვორაკოვსკა რამდენიმე სვლა გაუმკლავდა ჩვენებურს, თუმც ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და I-ზე ქულა დაუთმო.

ძაგნიძის მსგავსად, 2,5 ქულა კიდევ ორ ქართველს — ლელა ჯავახიშვილს და ქეთევან არახამია-გრანტს აქვს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

5 აპრილი

**რეინჯერსი 3:1 მონრეალი**
*1:0 2:0 0:1*
1:0 პრუხა (3), 2:0 იაგრი (32), 3:0 მალიკი (39), 3:1 სურეი (56)

**კოლუმბუსი 2:1 დალასი**
*0:1 0:0 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 ბარნსი (7), 1:1 მალოტრა (54), 2:1 ნეში (62)

**ბუფალო 4:2 ბოსტონი**
*2:2 0:0 2:0*
0:1 ფერენსი (5), 0:2 ბერჟერონი (15), 1:2 კოტალიკი (15), 2:2 ვანეკი (19), 3:2 ვანეკი (45), 4:2 როი (56)

**ფილადელფია 2:3 ნიუ ჯერსი**
*1:1 1:1 0:1*
1:0 კარტერი (2), 1:1 ლანგენბრუნერი (17), 2:1 განიე (30), 2:2 ბრილინი (35), 2:3 დაუდი (49)

**ოტავა 2:3 პიტსბურგი**
*1:1 1:1 0:1*
1:0 სპეცა (8), 1:1 უელე (15), 1:2 რობერტსი (15), 2:2 ჰიტლი (25), 2:3 ტელბოტი (60)

**აილენდერსი 5:2 ტორონტო**
*1:0 1:1 3:1*
1:0 სმიტი (17), 1:1 პოლი (34), 2:1 სილინჯერი (40), 2:2 კოლაიაკოვო (43), 3:2 ბლეიკი (44), 4:2 ეშემი (52), 5:2 შატანი (59)

**მინესოტა 3:0 ედმონტონი**
*2:0 1:0 0:0*
1:0 პარიში (6), 2:0 ჭ[illegible] (17), 3:0 გაბორიკი (30)

**ნეშვილი 4:1 სენტ ლუისი**
*1:1 2:0 1:0*
1:0 ლეგვანდი (1), 1:1 ბეკმენი (20), 2:1 ლეგვანდი (33), 3:1 რადულოვი (33), 4:1 ფორსბერგი (45)

**ჩიკაგო 3:2 დეტროიტი**
*1:0 1:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ალექსეევი (6), 2:0 ბიკელი (24), 2:1 ჰოლმსტრომი (40), 2:2 კოლდერი (50)

**ვანკუვერი 1:3 კოლორადო**
*1:1 0:0 0:2*
0:1 ჰეიდუკი (1), 1:1 სალო (8), 1:2 ჰეიდუკი (47), 1:3 ჰეიდუკი (51)

**ფინიქსი 3:2 ლოს ანჯელესი**
*2:0 1:1 0:1*
1:0 რენიკი (10), 2:0 ტომასი (18), 2:1 კოსტოპულოსი (38), 3:1 დოუნი (39), 3:2 კამალერი (49)

**სან ხოსე 4:3 კალგარი**
*0:0 2:1 2:2*
1:0 მიხალეკი (28), 2:0 ბელი (30), 2:1 ჰუსელიუსი (31), 3:1 გრირი (43), 4:1 ჩიჩუ (46), 4:2 იგინლა (51), 4:3 იგინლა (56)

# მარტინ ბროდო: 48!



მარტინ ბროდომ დიდი ხნით გადადება არ ინდომა და ბერნი პარენტის რეკორდი პირველივე ცდიდან გააუმჯობესა. ორიოდ დღის წინ ვიუწყებოდით, რომ ბროდომ ეს სუპერრეკორდი, სეზონში 47 გამარჯვება, გაიმეორა, გუშინ კი „ეშმაკთა" მეკარე თავად გახდა რეკორდსმენი, როცა „ნიუ ჯერსის" 48-ედ მოაგებინა და ეს მაინდამაინც იმ გუნდთან გააკეთა, რომელშიც პარენტმა თავისი რეკორდი დაამყარა. ბროდოს 34 „სეივით" შეგულიანებულმა ნიუჯერსელებმა „ფილადელფია" დასცეს და ატლანტიკის დივიზიონში პირველობაც გაინაღდეს.

გუშინდელი დღე სხვა მოვლენებითაც იყო დატვირთული — კერძოდ, „რეინჯერსმა" სახლში "მონრეალს" მოუგო და ახლა პლეი ოფისთვის ემზადება. „აილენდერსის" მიერ „ტორონტოს" დამარცხებამ კი „ტამპას" გაანაღდებინა პლეი ოფში მოხვედრა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთში მხოლოდ ერთი ადგილიღა დარჩა გასათამაშებლი, რომლისთვისაც სამი გუნდი — „აილენდერსი", „ტორონტო" და „მონრეალი" იბრძოლებენ. აქ დიდი მნიშვნელობა ექნება კანადურ ჯახს, რომელშიც „ტორონტოს" ძირითად დროში გამარჯვება ესაჭიროება, „მონრეალს" კი ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში წარმატებაც ეყოფა. აი, „აილენდერსი" მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ვერ იქნება — კუნძულელებმა დარჩენილი ორივე შეხვედრაშიც უნდა იმარჯვონ, კანადურ დერბიში კი „ტორონტოს" უნდა უქომაგონ სანატრელი მერვე ადგილის გასანაღდებლად.

ერთი ადგილი თავისუფალია დასავლეთშიც, სადაც „კალგარის" არა და არ დაადგა საშველი და ასე საჭირო გამარჯვება ვერ მოიპოვა. „კოლორადომ" კი გასვლაზე ძალიან რთულ ბრძოლაში დაამარცხა „ვანკუვერი" და ახლა „ედმონტონზე" უნდა ილოცოს, რათა „მენავთობეებმა" თანაპროვინციელ „კალგარის" მოუგონ.

**კახა ლომაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზულელიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge